

ნიუ - იორკის ქალაქის საჯარო ბიბლიოთეკის კიბეების მცველი ქვის ლომები წლების განმავლობაში საკვირველი სცენის - ანტისამხედრო დემონსტრაციებისა და ცენზურის ასაკრძალად მოწყობილი მიტინგების მოწმენი იყვნენ. ყველაზე შთამბეჭდავი სანახაობა იყო ჰარა კრიშნას მოძრაობის ცერემონიული მსვლელობები. ისინი ყოველთვის ატარებდნენ აქ ცერემონიებს, გარდა ძლიერი ყინვიანი ამიდებისა. ღია ფორთოხლისფერი თხელი ტანსაცმელი და ასევე თხელი სპორტული ფეხსაცმელებით (მათ აკრძალული აქვთ ტყავის ფეხსაცმელების ტარება), ისინი მოძრაობენ წრემი, უკრავენ დოლზე და მღერიან: „ჰარი კრიშნა, ჰარი კრიშნა, კრიშნა, კრიშნა, ჰარი, ჰარი, ჰარი რამა, ჰარი რამა, რამა, რამა, რამა, ჰარი“.

ამ მოძრაობამ (სვამი პრაბჰუპადაი), რომელიც ა.ს. ბჰაკტივედანტამ დააფუძნა, დასავლეთში მასმედიის ყურადღება მიიპყრო 1966 წლიდან, სენსაციის იმედით დეტალურად აშუქებდნენ სვამისა და კულტის სხვა წარმომადგენელთა ცერემონიებს, რომლებიც აკვირვებდათ გარეგნობით (მოთხოვნის თანახმად კრიშნას მამაკაცები თავს იპარსავდნენ და ტოვებდნენ მხოლოდ თმის ვიწრო ნაწნავს, რომელზედაც მათ ექაჩებოდათ ღმერთი და მიყავდა უფრო მაღალი ცნობიერებისაკენ).

კრიშნას მიმდევრები ამ მოძრაობას რელიგიას უწოდებენ, თუმცა პალტოებში გახვეული ნიუ-იორკელები, რომლებიც აკვირდებოდნენ მსუბუქად ჩაცმულ ადამიანებს ცივი ნოემბრის დილაადრიან, მათ უფრო არანორმალურებად მიიჩნევდნენ, ვიდრე რელიგიური სიკეტის ხორცშესხმად. ამასთან დაკავშირებით იბადება კითხვა: სოციოლოგიური თვალსაზრისით უფრო ზუსტად როგორ განისაზღვრება რელიგია? შეიძლება კი ჰარა კრიშნა ჩაითვალოს რელიგიად იმავე აზრით, რა აზრითაც კათოლიციზმი? რას წარმოადგენენ თავისთავად ისეთი რელიგიები, როგორებიცაა ბუდიზმი ან კონფუციანური მოძღვრება, სადაც არ არის ღმერთის ცნება?

ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად განვიხილოთ რელიგიის ზოგიერთი განსაზღვრება, რელიგიის სხვადასხვა ტიპები და მათი ფუნქციები (ფსიქოლოგიური და სოციალური) საზოგადოებაში. ბოლოს განვიხილოთ რელიგიის ცვალებადი მნიშვნელობა ამერიკულ საზოგადოებაში და გავაკეთოთ ზოგიერთი მეცნიერული პროგნოზები მომავლისათვის.

რელიგია: სოციოლოგიური პერსპექტივა.

ხშირად ამბობენ, როდესაც ხარ სტუმრად პოლიტიკაზე, სექსსა და რელიგიაზე საუბარი არ არის საჭირო. რატომ გადაიქცა რელიგია ცხარე კამათის ობიექტად? იმათთვის ვინც ახლოსაა მასთან ეს არის წმინდა წყლის პიროვნული საკითხი - ადამიანები თავად გადაწყვეტენ, თუ რა უნდათ რომ იწამონ (თუ საერთოდ არიან განწყობილი რწმენისათვის), აღშფოთებთ მათი გადაწყვეტილების სისწორეში ნებისმიერი ეჭვის შეტანა. რელიგიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციაა - ადამიანის სიცოცხლისათვის საზრისის მინიჭება. შეიტანეთ ეჭვი ადამიანების რელიგიურ რწმენაში და თქვენ შეეხებით მათ ყველაზე სანუკვარ აზრებს სამყაროში ადამიანის დანიშნულების შესახებ.

ამას გარდა, ყოველი რელიგიური ჯგუფი გარკვეულწილად თავს გრძნობს რჩეულად, განსხვავებულად, ადამიანთა ძირითადი მასისაგან. ხშირად ამ შეგრძნებებიდან ამოიზრდება რწმენა, რომ მოცემული ჯგუფი იმყოფება ღმერთთან თანხმობასა და

ერთიანობაში. წარსულში ებრაელებს სჯეროდათ, რომ მიაღწიეს ღმერთთან შეერთებას, ახლა ამისა სჯერათ მორმონებს. გამორჩეულობის ასეთი შეგრძნება ყველაზე ნათლად ჩანს მორმონების ეკლესიის ოფიციალურ სახელწოდებაში - „წმინდანთა ბოლო დღის იესო ქრისტეს ეკლესია“. მორმონთა ეკლესიის ყოველი წევრის ნათლობა - ყოველისა, ვისაც აქვს განსაკუთრებული ვალდებულება ღმერთის წინაშე - ითვლებიან „ბოლო დღის წმინდანებად“. ეს განსაზღვრება არ ახეხავს არც ერთს, ვინც ამ ეკლესიას არ ეკუთვნის.

რელიგიის შემსწავლელი სოციოლოგი ვალდებულია დროებით დაივიწყოს საკუთარი რელიგიური შეხედულებები. ის ვალდებულია რელიგიას შეეხოს, როგორც სოციალურ მოვლენას. ის ცდილობს გაერკვას, თუ როგორაა ორგანიზებული ყველა რელიგიური ჯგუფი (და არა მხოლოდ ის, რომელსაც თავად ეკუთვნის). მას აინტერესებს რელიგიური ჯგუფების ნორმები და ღირებულებები, რელიგიის როლი თითოეული მორწმუნის ცხოვრებაში და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მთლიანად. ის სვამს კითხვას, თუ რატომ არსებობენ რელიგიები და როგორ ახერხებენ შეინარჩუნონ თავი ხანგრძლივი დროის განმავლობაში. ბოლოს, მისთვის მნიშვნელოვანია გაიგოს თუ როგორ მოქმედებს ადამიანების ცხოვრების სხვა ასპექტებზე მისი კავშირი რელიგიასთან: მათ ცხოვრებისეულ პოზიციაზე, ოჯახურ ცხოვრებაზე და ა.შ.

პირველ რიგში რელიგიას უნდა მიეცეს განსაზღვრება.

რელიგიის განსაზღვრება.

რას ვგულისხმობთ ჩვენ სიტყვა „რელიგია“-ში? ჰერჰარდ ლენსკი რელიგიას განსაზღვრავს, როგორც „რწმენათა სისტემას იმ ძალების არსის შესახებ, რომლებიც, საბოლოო ჯამში, წარმართავენ ადამიანის ბედს და მასთან დაკავშირებულ რიტუალებს, რომლებსაც ასრულებენ გარკვეული ჯგუფის წევრები“. მაგრამ ეს განსაზღვრება ძალზე ზოგადია; აქ იგულისხმება რწმენის სხვა სისტემებიც, მაგალითად კომუნიზმი, სოციალიზმი, საერო ჰუმანიზმი. რწმენის ეს სისტემები, ცხადია, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ადამიანთა ცხოვრებაში, მაგრამ არ შეესაბამებიან ჩვენს ჩვეულებრივ შეხედულებებს რელიგიის შესახებ. თითქოს რონალდ ლ. ჯონსტონის განსაზღვრება უფრო მისაღებია: „რელიგია ეწოდება რწმენისა და რიტუალების სიტემას, რომელთა დახმარებით ადამიანთა ჯგუფები ახსნიან და რეაგირებენ იმაზე, რაც მიაჩნიათ ზებუნებრივად და სიწმინდედ“.

რელიგიის ელემენტები.

ჯონსტონმა ჩამოთვალა ხუთი ძირითადი ელემენტი, რომლებიც დაგვეხმარება გავიგოთ, არის თუ არა, რწმენის სისტემა რელიგია. ჯერ-ერთი, რელიგია გულისხმობს მორწმუნეთა ჯგუფის არსებობას. თუმცა რელიგია შეიძლება დაკავშირებული იყოს პიროვნების სიღრმისეულ განცდებთან. სოციოლოგებს აინტერესებთ რელიგიური ჯგუფები და კიდევ ის, თუ რით განსხვავდებიან ეს ჯგუფები საზოგადოების სხვა ჯგუფებისაგან. რელიგიის კვლევა ეფუძნება გარკვეული ერთობების, მაგალითად,

კათოლიკების, პროტესტანტების, იუდაველების ან ისეთი ორგანიზაციების, როგორცაა სექტების შესწავლას.

მეორე, რელიგია ასოცირებულია ცნებებთან, რომლებიც წმინდად ითვლებიან. ის განასხვავებს ყოველდღიური ცხოვრების საგნებსა და უჩვეულო მოვლენებს - სასწაულებს (ადამიანის გაცოცხლებას, უბედური შემთხვევის შედეგად კომატოზურ მდგომარეობაში მყოფი ადამიანის ლოცვების შედეგად გადარჩენას, ან იესოს მიერ წყლის ღვინოდ გადაქცევას). ეს მოვლენები წმინდად ითვლებიან რადგან დაკავშირებულნი არიან რაღაც ზებუნებრივთან - რაღაც ძალასთან ან არსებასთან, რომელთა შესაძლებლობებს ბუნების კანონები არ ზღუდავს. სხვადასხვა რელიგიებს გააჩნიათ განსხვავებული წმინდა საგნები და მოვლენები. ამერიკელთა უმრავლესობისათვის ძროხა ყოველდღიური ცხოვრების ელემენტია, ინდუსისათვის კი ის წმინდანია: ის დაკავშირებულია ღმერთ ვიშნათან (სწორედ ამიტომ ჰარი კრიშნას სექტის წევრებს ეკრძალებათ ტყავის ფეხსაცმლის ტარება).

მესამე, ყოველი რელიგია გულისხმობს რწმენთა გარკვეულ რაოდენობას - მრწამსს. ეს რწმენები ავლენენ ადამიანის ნატურას, გარემო პირობებსა და ზებუნებრივ ძალებს, რომლებიც წმინდანებად ითვლებიან. მაგალითად, ნიჰირენის სექტის წევრი ბუდისტი თვლის, რომ ადამიანი სრულყოფილებას აღწევს უწყვეტი გარდასახვების შედეგად, ამიტომ სამყაროს სისტემაში ხოჭო პრეზიდენტზე არანაკლებ მნიშვნელოვანია.

მეოთხე, რელიგია გულისხმობს ქმედებების ანუ რიტუალების გარკვეულ ერთობას. რიტუალი - ეს არის წმინდანებისა და ზებუნებრივი ძალების მიმართ ქცევების მაგალითი (მაგალითად, ეკლესიასთან გავლისას კათოლიკე ჯვარს იწერს ან ლოცულობს). დურკჰემი რიტუალებს განსაზღვრავს, როგორც ღირებულებას, რომელიც უთითებს ადამიანებს როგორ უნდა მოიქცენ ისინი წმინდა საგნებთან და წმინდა ადგილებში. თვით რიტუალები არ გულისხმობენ რაიმე რელიგიურ აზრს. მაგრამ ისინი იძენენ რელიგიურ მნიშვნელობას, როდესაც ადამიანები შესაბამის სიტუაციებში მათ გამოიყენებენ წმინდა ძალებთან თავიანთი კავშირებისათვის. მაგალითად, ჩვეულებრივ ცხოვრებაში წყალი გამოიყენება დასალევად ან სხაპის მისაღებად. მაგრამ ნათლობის დროს ის გადაიქცევა სიწმინდედ და არის რელიგიურ ერთობაში ახალი წევრის მიღების სიმბოლოდ.

ბოლოს, რელიგიაში იგულისხმება ზოგიერთი წარმოდგენები წმინდანთა ცხოვრების შესახებ. რელიგიათა უმრავლესობა კარნახობს მორწმუნეებს შეგონებების სისტემებს ანუ ქცევის მარეგულირებელ ნორმებს. ეს ნორმები განსაზღვრავენ ქცევებს სხვადასხვა გარემოებებში. ისეთ მასობრივ და რთულ რელიგიებში, როგორებიცაა ქრისტიანობა, ისლამი ან ბუდიზმი ჩამოყალიბებულია მკაცრი მორალური პრინციპები. ალბათ ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია ათი მცნება, რომლებიც კრძალავენ მკვლელობას, მრუმობას და სხვა ცოდვებს.

რელიგიის ტიპები.

რელიგიის როგორ კლასიფიკაციას აკეთებენ სოციოლოგები? შედის თუ არა ბუდიზმი იმ სისტემაში სადაც იგულისხმება მეცნიერებათმცოდნეობა? შეიძლება თუ არა დავახასიათოთ ქრისტიანობა და მოძღვრება ჰარი კრიშნაზე ერთი და იგივე ცნებებისა და ტერმინების გამოყენებით?

საუკეთესოა რელიგიათა კლასიფიკაცია იმ სახელებით, რომელთაც მათ მისცეს მიმდევრებმა: პროტესტანტული, კათოლიკური, იუდაური, მუსულმანური და ა.შ.

ცხრილში ნაჩვენებია ძირითადი რელიგიების გავრცელება მსოფლიოში. ქრისტიანთა რაოდენობა ჰარბობს სხვა რელიგიების მიმდევართა რაოდენობას, მაგრამ ეს არ ნიშნავს რომ მორწმუნეთა უმრავლესობა ქრისტიანია; სინამდვილეში ისინი შეადგენენ მხოლოდ 20%-ს. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ძირითადი მსოფლიო რელიგიების მიმდევრების რაოდენობა (2,5 მლრდ) ბევრად ნაკლებია დედამიწის მცხოვრებთა მთლიან რაოდენობაზე. (ამ თემას დავუბრუნდებით მე-18-ე თავში). (ცხრ. 15-1).

ბელაჰის სისტემა.

სოციოლოგებმა შეიმუშავეს რელიგიის კლასიფიკაციის წესები. ერთი მათგანია - პრიმიტიულიდან თანამედროვე რელიგიებამდე ევოლუციის სისტემა. პირვლად ეს სისტემა ჩამოაყალიბეს ანთროპოლოგებმა XIX საუკუნის დასასრულს. XX საუკუნეში ეს სისტემა დაწუნებულ იქნა, მაგრამ სოციოლოგებმა მოიწონეს პოპერტ ბელაჰის მიერ შექმნილი ახალი თეორია.

ბელაჰი რელიგიის კლასიფიცირებას ახდენს დროის მიხედვით (წარსული და თანამედროვე), გამოყოფს ხუთ კატეგორიას: პრიმიტიული, არქაული, ისტორიული, ადრემოდერნისტული და მოდერნისტული. ეს კატეგორიები არ არიან დაკავშირებული „პროგრესთან“ - ბელაჰი არ თვლის, რთულ რელიგიას უფრო სრულყოფილად ვიდრე მარტივს. ისინი მხოლოდ აღწერენ რელიგიის მარტივი ფორმებიდან რთულზე გადასვლას. ის ითვალისწინებს ყოველი რელიგიის თვითმყოფადობას; არაა აუცილებელი მათ განვითარების პროცესში გაიარონ მსგავსი ეტაპები; ზოგიერთ რელიგიას შეიძლება ქონდეს ნიშნები, რომლებიც ორ ან რამდენიმე სტადიაზე გაყვება. ამას გარდა არაა აუცილებელი მარტივი რწმენიდან უფრო რთული აღმოცენდეს - ზოგჯერ შეინიშნება ადრინდელი სტადიებისაკენ შებრუნება, ან არ შეიმჩნევა არავითარი განვითარება. შემდეგ ცხრილში მოცემულია ბელაჰის კლასიფიკაციის მიხედვით რელიგიის განვითარების 5 სტადია. (ცხრ.15-2).

ვებერის სისტემა.

მაქს ვებერი გვამლევს რელიგიის კლასიფიკაციას მათ მიერ სულის ხსნასთან დამოკიდებულებით. რომელი ქცევა მოგვცემს სიკვდილის შემდეგ მარადიულ ნეტარებას? რომელი ქცევა გაგვინაღდებს ჯოჯობხეთს ან დავიწყებას? ვებერმა გაანალიზა სხვადასხვა შეხედულებების სულის ხსნის შესახებ და განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ორ მომენტს:

1. მოითხოვს თუ არა სულის ხსნა პასიურ ჭვრეტას (მისტიციზმი) ან საკუთარი ნების აქტიურ მართვას (ასკეტიზმი) და

2. ხდება თუ არა სულის ხსნა ამ თუ რომელიმე სხვა სამყაროში (ადამიანის შიდა სამყაროში თუ მის გარეთ, ციურ სასუფეველში)?

აღმოსავლური რელიგიების უმრავლესობის თანახმად სულის ხსნა მიიღწევა მისტიციზმით - ინდუისტები მიმართავენ მედიტაციას ან იოგას, ბუდისტები უმღერიან სულიერ გაბრწყინებას. დასავლურ რელიგიებში მთავარი მნიშვნელობა ენიჭება ასკეტიზმს, რომელიც მაღალი იდეალებისათვის მოითხოვს თვითშეწირვასა და თვითდისციპლინას. როდესაც მუცულმანები რამადანის (ძლიერ გავს დიდმარხვას) დღეებში უარს ამბობენ საყვარელ კერძებსა და მუშაობაზე, ისინი ავლენენ ასკეტიზმს.

სულის ხსნისადმი ასეთი მიდგომების საფუძველზე, შესაძლებელია, ოდნავი გამარტივების შემდეგ, შეადგინო მსოფლიო ძირითადი რელიგიების კლასიფიკაცია. ერთი მხრივ, მხედველობაში მიიღება განსხვავება ამ და მიღმურ სამყაროს შორის, მეორე მხრივ - მისტიციზმსა და ასკეტიზმს შორის. კონფუციანელობა, ინდუიზმი, იუდაიზმი და კათოლიციზმი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან იმის მიხედვით თუ ამ თვისებებიდან რომელი ჭარბობს მათში.

კონფუცის მოძღვრება სულის ხსნას ვარაუდობს ამ სამყაროში. ეს მისტიკური მოძღვრება მოგვიწოდებს გარემო სამყაროს ჭვრეტისა და მასთან ჰარმონიის მიღწევისაკენ. ინდუიზმი ასევე მოგვიწოდებს ჭვრეტისაკენ, მაგრამ აქ მთავარია მიღმურ სამყაროში გარდასახვების რწმენა.

ინდუიზმი ხაზს უსვამს აქტიური ქმედებების - მკაცრი რიტუალების მნიშვნელობას. ამ ცხოვრებაში საბოლოო ჯილდოა ღვთიური მოწყალება ან მრისხანება. ბოლოს, ადრინდელი ქრისტიანობა და კათოლიციზმი მთავარ მნიშვნელობას ანიჭებენ იმქვეყნიურ ცხოვრებას: ქრისტეს აღდგომა - მიღმური სამყაროს რწმენა; ეს მოწოდება - გამსჭვალული თვითშეწირვითა და განდგომით ასკეტიზმის გამოვლენაა.

რელიგიური ორგანიზაციის ფორმები.

არსებობს რელიგიური ორგანიზაციის ოთხი ძირითადი ტიპი: ეკლესია, სექტა, დენომინაცია ან მოძღვრება და კულტი (ცხრ.15-3).

გერმანელი ღვთისმეტყველი ერნსტ ტროლჩი ეკლესიას განსაზღვრავს, როგორც რელიგიურ ორგანიზაციას, რომელსაც ფართო კავშირები აქვს საზოგადოებასთან და მოქმედებს მის შიგნით. პრაქტიკულად საზოგადოების ყველა წევრი რელიგიურ ერთგულებას უცხადებს ეკლესიას, რომელიც ჩვეულებრივ დაკავშირებულია სახელმწიფოსთან. ინგლისში ანგლიკანური ეკლესია სახელმწიფოებრივია. მეფე და დედოფალი თავს დებენ რწმენის დამცველებად. ისტორიულად ასე ჩამოყალიბდა, რომ

კათოლიციზმი იყო საფრანგეთისა და იტალიის სახელმწიფო რელიგია, თუმცა შემდგომში ისინი გახდნენ რელიგიისაგან დამოუკიდებელი სახელმწიფოები.

ტროლჩის თანახმად სექტა ეწოდება ორგანიზაციას, რომელიც უარყოფს დანარჩენი საზოგადოების ღირებულებებს და შეუძლია „მოითხოვოს“ მის შეხედულებებზე გადასვლა და შესაბამისი რიტუალების შესრულება. ჩვეულებრივ სექტები წარმოიქმნებიან იმ შემთხვევებში, როდესაც ტრადიციული რიტუალებით უკმაყოფილო ეკლესიის წარმომადგენელთა მცირე ჯგუფი გამოეყოფა და ქმნის ახალ რელიგიას. რამდენადაც ეს ჯგუფი უპირისპირდება საზოგადოებას სადაც ბატონობს ეკლესია, სექტის წევრები ხშირად არ ღებულობენ მონაწილეობას მის ცხოვრებაში. მაგალითად, ამიშები უპირატესობას ანიჭებენ ბავშვის სახლში აღზრდა-განათლებას და უარს ამბობენ სკოლებზე იმის შიში, რომ სკოლა შეურაცხყოფს მათი რწმენის სიწმინდეს. ზუსტად ისევე, როგორც „ქრისტიანული მეცნიერების“ მოძღვრების მიმდევრები მკურნალობისას უარს ამბობენ დასხივების მეთოდზე და ილუპებიან სენისაგან, რომლისგან განკურნება შესაძლებელი იყო, ისინი უბრალოდ ასრულებენ თავიანთი სექტის დოგმებს, რომ ღმერთის ღრმა რწმენა ყველა ავადმყოფობისაგან განკურნავს.

რელიგიური ორგანიზაციის მესამე ფორმაა დენომინაცია, („დენომინაცია“ - ტიპიური ამერიკული მოვლენაა, გამოიხატება სხვადასხვა რელიგიური მოძღვრებების სწრაფვაში გაამრავლონ თავიანთი მრევლი. დღეისათვის 200-ზე მეტი დასახელების დენომინაცია არსებობს) ესაა შუალედური რგოლი სექტასა და ეკლესიას შორის. მაშინ, როდესაც ეკლესია მორჩილებას მოითხოვს საზოგადოების უმრავლესობისაგან, დენომინაციები ერთმანეთში კონკურირებენ, ცდილობენ გადაიბირონ ახალ-ახალი წევრები. სექტასა და საზოგადოებას შორის ყალიბდება რამდენადმე დამაბული ურთიერთობა, მაშინ, როდესაც დომინაციები არ არიან სახელმწიფოებრივი რელიგიები და საზოგადოებასთან ინარჩუნებენ ნორმალურ ურთიერთობას. პროტესტანტული დენომინაციებია ბაპტისტები, პრესვიტერიანელები, ეპისკოპალური ეკლესიის წევრები, მეთოდისტები, კონგრეგაციონალისტები და მრავალი სხვა.

ზოგჯერ დენომინაცია ყალიბდება სექტის საფუძველზე. მარტინ ლუთერი აღუდგა კათოლიციზმს და თავისი ახალი მოძღვრების 95 თეზისი 1517 წელს მიაკრა ადგილობრივი ეკლესიის კარებს. დღეისათვის ლუთერანობა ოფიციალური რელიგიაა რიგ სკანდინავიურ ქვეყნებში და ერთ-ერთ- მრავალრიცხოვანი პროტესტანტული დენომინაცია ამერიკაში. როგორც ვნახეთ (თავი 6) ასეთ ევოლუციას მრავალი ფაქტორი განაპირობებს. ჯერ-ერთი, დროის მსვლელობაში ნებისმიერ ჯგუფში ყალიბდება გარკვეული წესები და რიტუალები. მეორე, ლიდერთა ცვლის უზრუნველსაყოფად სექტა ქმნის თავისი სულიერი არსის, მიზნებისა და ამოცანების დამცველ სისტემას. რაც ასევე ხელს უწყობს უფრო გამოკვეთილი ნორმებისა და რიტუალების ფორმირებას. მესამე, გაზრდილი სექტა იძულებულია ფინანსურად უზრუნველყოს საკუთარი საქმიანობა შემოწირულობებით, საქველმოქმედო ბაზრებით თუ ბინგოს თამასების ორგანიზებით. ველა ეს ფაქტორები ხელს უწყობს ზოგიერთი სექტების დინომინაციებად გარდაქმნაში, სადაც ჩამოყალიბდება ბიუროკრატიული წესრიგი და უფრო ფართო კავშირები საზოგადოებასთან. ზოგიერთი სექტები იშლებიან, მაშინ

როდესაც ზოგიერთებს (მსგავსად კვაკერებისა და ამიშებისა) არ სურთ დენომინაციებად დარდაქმნა.

რელიგიური ორგანიზაციის მეოთხე ფორმაა კულტი. ეს სექტის უკიდურესი ფორმაა. როგორც წესი ის „მოწყდება“ გაბატონებულ ეკლესიას რომელიმე სპეციფიკური რიტუალის შესრულების წესთან უთანხმოების გამო, მაგრამ კულტი რადიკალური ცვლილებებისაკენ მოუწოდებს ინდივიდსა და საზოგადოებას, ან ორივეს ერთად.

აშშ ისეთი კულტები, როგორებიცაა ერთობის ეკლესია („მუნისტები“), „ქრისტიანული მეცნიერება“ და „ღვთიური გაბრწყინების მისია“, დასჯილ იქნენ ახალი წევრების გადაბირებისა და დაკავების მეთოდების გამო. ადამიანები, რომელთაც ღრმად სჯერათ რელიგიური თავისუფლების პრინციპისა, გაიძახიან, რომ კულტები საერთოდ არ წარმოადგენენ რელიგიას და მათი მესია ყალბია, რადგან ატყუებენ ნამეტან გულუბრყვილობსა და უბედურ ადამიანებს. ბოლო წლებში კულტის მიმდევართა მშობლები იძულებული გახდნენ დაექირავებინათ სპეციალური „სულიერი მოძღვრები“ რათა გაენთავისუფლებინათ შვილები კულტის გავლენისაგან. თავის მხრივ, კულტის ლიდერებმა სასამართლოში შეიტანეს სარჩელი „სულიერი მოძღვრების“ წინააღმდეგ, იმ ბრალდებით, რომ ეს უკანასკნელნი არღვევენ სინდისის თავისუფლებას.

რატომ და რა მიზნით: ფუნქციონალიზმი და კონფლიქტის

თეორია რელიგიის შესახებ.

ეკლესია, სექტა, დენომინაცია და კულტი იზიდავენ იმ ადამიანებს, რომელთა ცხოვრება ნაწილობრივ ან მთლიანად დაკავშირებულია რელიგიასთან. შოციოლოგებმა აუცილებლად უნდა ახსნან თუ რატომ ხდება ასე. რას ნიშნავს რელიგია ამ ადამიანებისათვის? როგორია მისი მნიშვნელობა სოციალურ დონეზე? ფუნქციონალისტები ცდილობენ ახსნან რა სოციალურ მიზნებს ემსახურება რელიგია; კონფლიქტის თეორიის მიმდევრები აანალიზებენ თუ როგორ აძლიერებს რელიგია კლასობრივ სისტემას თუ ანგრევს მას ან ერთდროულად ხელს უწყობს ერთსაც და მეორესაც.

რელიგია და ინდივიდი: „მე რატომ დამემართა ეს?“

ანთროპოლოგო ბრონისლავ მალინოვსკი შეეცადა რელიგიის შედარებით ჯადოქრობასთან განესაზღვრა რელიგიის ფუნქციები. ის აღნიშნავს, რომ ადამიანები მიმართავენ ჯადოქრობას (ე.ი.ცდილობენ მართონ ზებუნებრივი ძალები), როდესაც ვერ ახერხებენ სრულად მართონ მათგან დამოუკიდებელი მოვლენები; იმედი აქვთ, რომ ჯადოქრობა დაიცავთ მათ უბედური შემთხვევებისაგან და გაიგებენ მომავალს.

კურდღლის თათი, ოთხფოთლიანი იონჯა ან სათამაშო ბანქო ხშირად ითვლება ზებუნებრივი ძალის მქონე „ჯადოქრული ძალის“ სიმბოლოდ. მალინოვსკი ყვება, რომ თუ ნაოსნობის მიმდევარი ერთ-ერთი პირველყოფილი ტომი როგორ იყებს

ჯადოქრობას. ნაოსნობა საშიშროებებს შეიცავს, მაშინაც კი, როდესაც ხომალდი საიმედოა და კაპიტანი ძალზე გამოცდილი. საშიშროებებისაგან თავის დასაცავად (ხომალდი შეიძლება შეასკდეს წყალქვეშა რიფებს ან აყირავდეს ძლიერო შტორმის დროს) ინდიტომის წევრებმა მოიგონეს და შეთხზეს ცრურწმენები და რიტუალები, ე.ი. ჯადოქრობა. ღაც უფრო ხანგრძლივია ნაოსნობა, მით უფრო რთულია რიტუალები. ჯადოსნურ ძალებს უფრო მიმართავენ ღია ზღვაში თევზის ჭერის დროს და ნაკლებად მშვიდ ლაგუნაში თევზაობისას.

ბევრ რელიგიაშია ჯადოქრობის ელემენტები. მაგალითად, ბიბლიაში ნათქვამია, რომ მოსემ და მისმა ერთმორწმუნეებმა ხელი კრეს კლდეს და იქიდან წყარო გადმოიქცა. მაგრამ რელიგია განსხვავდება ჯადოქრობისაგან: ჯადოქრობა კონკრეტული მიზნის მიღწევის საშუალებაა და არა თვითმიზანი. ადამიანები მიმართავენ ჯადოქრობას იღბალისა და ბედნიერი შემთხვევის იმედით. რელიგიურ რწმენას კი უფრო სიღრმისეული მიზეზები აქვს, რაც დაკავშირებულია ცხოვრების საზრისსა და საკუთარ ადგილთან ამ სამყაროში. როგორც მალინოვსკი ვარაუდობდა, რელიგია აღმოცენდება სხვებზე ზრუნვისა და სიყვარულის ჩვენისეული უნარიდან, სიკვდილის აუცილებლობის გაცნობიერებიდან. ბევრ რელიგიაში ნავარაუდევია მიღმური სამყარო, უკვდავება ან აღორძინება. ქრისტიანები მოხვდებიან სამოთხეში ან ჯოჯოხეთში; ბუდისტები გარდაისახებიან. ამ რწმენებთან დაკავშირებული რიტუალები (მაგალითად „ხსოვნის სხდომები“ ებრაელებთან, ან ირლანდიელთა „ხსოვნები“ დამარხვის წინ) ამშვიდებენ ცოცხლებს, ამცირებენ მათ შიშს სიკვდილისწინაშე.

რელიგია არა მხოლოდ სიკვდილის წინაშე სიმშვიდეს ანიჭებს ადამიანს, არამედ აზრი შეაქვს ადამიანის ცხოვრების სხვა ასპექტებში. უბედური შემთხვევების დროს ადამიანები ხშირად კითხულობენ „მე რატომ დამემართა ეს?“ მათ შეიძლება ასე იხუმრონ, თუ გაუტყდებათ ქოლგა, ან სერიოზულად თქვან, თუ მათ ცხოვრებაში კატასტროფა მოხდა. ანდაზაში „უბედურებაში ათეიზმი ვერ გვიშველის“ კარგად ჩანს რელიგიის როლი. რელიგია ეხმარება ადამიანს მიაგნოს პასუხს კითხვაზე: „რატომ მაინცდამაინც მე დამემართა ეს?“ ის ანიჭებს საზრისს სიტუაციებს, რომლებიც შეიძლება უსამართლოდ მოეჩვენოთ. ზოგიერთი სოციოლოგის აზრით რელიგია ეხმარება ადამიანებს ადვილად გადაიტანონ ისეთი უსამართლობები, როგორებიცაა სიღარიბე, ავადმყოფობა, უთანასწორობა. ტანჯულს ის ანიჭებს იმედს. კერძოდ, ქრისტიანობა იძლევა უკეთესი ცხოვრების იმედს სამოთხეში; ბიბლიაში ნათქვამია: „ნეტარ არიან მორჩილნი, რამეთუ მემკვიდრეობად მიწა მიიღეს“. ბევრი აღმოსავლური რელიგიის თანახმად ფიზიკური ტანჯვა შეიძლება დაიდლოს სულიერი გაცისკროვნებით.

ზოგმუნდ ფროიდმა გამოავლინა რელიგიის სხვა ფუნქცია. მისი აზრით ის იცავს ადამიანებს ბავშვობაში განცდილი უსუსურობის შიშისაგან. როგორც ბავშველი ელიან შველას მშობლებისაგან, ასე მოზრდილი ადამიანი ელის შველას ყოვლისშემძლე ღმერთისაგან. ფროიდის თანახმად რელიგიური ცნებები, რომელთა ფესვები ადამიანის ფსიქიკაშია, არ შეიძლება სწორად ჩაითვალოს პირდაპირი გაგებით: ის ვარაუდობდა, რომ რელიგიური ცნებები - სოციალური ილუზიებია. ეს ილუზიები უარყოფილი

იქნებოდნენ თუ ადამიანი გაიაზრებდა, რომ ისინი ეფუძნებიან მატერიალური ბუნების საწინააღმდეგო ფსიქოლოგიურ მოთხოვნილებებს.

რელიგია და საზოგადოება: შეკავშირება რიტუალის საფუძველზე.

ინდივიდების ზოგიერთი ფსიქოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების პარალელურად რელიგია ასრულებს მნიშვნელოვან სოციალურ ფუნქციას. ნაშრომში „რელიგიური ცხოვრების ელემენტარული ფორმები“ (1912) ე.დურკემი ხაზს უსვამს, რომ ადამიანებს უფრო სჯერათ რელიგიური ღმერთებისა და რიტუალებისა, ვიდრე აღიარებენ საზოგადოების „ძალაუფლებას“ საკუთარ თავზე. რელიგია ასახავს საზოგადოების ძალაუფლების ნორმებსა და სტრუქტურას. „ჩვენ ვსაუბრობთ ენაზე, რომელიც ჩვენ არ შეგვიქმნია, ვიყენებთ სხვის მიერ გამოგონებულ ხელსაწყოებს... ცივილიზაციის ამ სიკეთეს ჩვენ გვამღევეს საზოგადოება, - წერს დურკემი. მაგრამ, რამდენადაც ყოველი შემდგომი თაობა თავად არ ქმნის მას და ღებულობს ამ სიკეთეს მზამზარეულად, მას უნებლიედ ეჩვენება, რომ არსებობს რაღაც უმაღლესი ძალა და მას და არა საზოგადოებას მიეწერება ღვთიურობა: „აღბათ ადამიანი უნებლიეთ გრძნობს, რომ მისგან დამოუკიდებლად არსებობენ აქტიური ძალები, რომლებიც ანიჭებენ მას მისთვის დამახასიათებელ ბუნებრივ თავისებურებებს; ისინი მას მფარველობენ, იცავენ მას და პირდებიან ბედნიერებას. რა თქმა უნდა ის მიისწრაფის გააღმერთოს ეს ძალები, რადგან ძვირად აფასებს, თითქოსდა მისგან მიღებულ სიკეთეს“ (გვ.212).

დურკემი თავის დასკვნებს აკეთებს ავსტრალიური ტომების ტოტემისტური რელიგიების შესწავლის შემდეგ. ტოტემი - რაღაც ბუნებრივად არსებულის სიმბოლოა (მაგალითად, გველი ან კენგურუ), რომელიც წმინდანად ითვლება. ყოველი ტოტემი ნათესაობის ან კლანის სიმბოლოა. კლანები იყენებენ საზოგადოების ძირითადი გაერთიანებები, ტოტემი - თავისებური გერბი, კლანის ერთობის სიმბოლო. კლანისადმი მორჩილების ნაცვლად ისინი ემორჩილებიან ტოტემს. მათი რელიგია ასახავს მათივე საზოგადოების სტრუქტურას.

დურკემის თანახმად, რელიგია არა მხოლოდ ასახავს საზოგადოების სტრუქტურას, კიდევ ამლიერებს მას, ადამიანთა ყურადღებასა და იმედებს მიპყრობს საერთო რწმენებსა და თავყვანისცემის ობიექტებს. ეს გამაერთიანებელი ფუნქცია თვალსაჩინოდ ვლინდება რიტუალების შესრულებაში. რიტუალები მკაცრად ანსხვავებენ სიწმინდეებსა (წმინდანებსა ან ზებუნებრივ ძალებთან დაკავშირებულებს) და საეროს, ყოველდღიურს (დაკავშირებულს მატერიალურთან, მიწიერთან). მაგალითად, იმ ტომებს შორის სადაც ტოტემიზმი გავრცელდა, სადაც ჩვეულებრივი მცენარე ან ცხოველი ტოტემია, მათი საკვებად გამოყენება შეიძლებოდა მხოლოდ გარკვეული რიტუალების ჩატარების მერე. ზიარების ქრისტიანული რიტუალი იგივე პრინციპებს ეფუძნება. პური და ღვინი - იგივე ტოტემებია, ქრისტეს სისხლისა და სხეულის სიმბოლოებია. ქრისტიანებს სჯერათ, რომ მათი მიღებით უერთდებიან ქრისტეს წმინდა სულს. ასეთი რიტუალები ამტკიცებენ ღირებულებებსა და ჯგუფის რწმენებს და იცავენ გაბატონებულ ნორმებს.

დურკემის რელიგიის თეორია შეიძლება თვალსაჩინოდ წარმოვიდგინოთ ჩაკეტილი ჯაჭვის სახით, რომლის დამაკავშირებელი რგოლი - სოციალური ორგანიზაციაა. ჯერ-ერთი, საზოგადოება ქმნის ადამიანის გამოცდილებას. შემდეგ ადამიანები მიისწრაფიან გაიგონ და ახსნან გარე ძალების ზემოქმედება. ეს განაპირობებს საზოგადოების სტრუქტურის შესაბამისი რელიგიის გაჩენას. ბოლოს, რელიგიური რწმენის გამოსახატავად ყალიბდებიან რიტუალები. ისინი ახდენენ გავლენას ჯგუფის სიმტკიცესა და რელიგიური შეხედულებების მთლიანობაზე, არეგულირებენ წევრების ქცევას და ამტკიცებენ საზოგადოების სტრუქტურას.

რელიგია, როგორც სოციალური კონტროლის საშუალება:

კონფლიქტის თეორია.

დურკემის ანალიზმა ნათელი გახადა რელიგიისა და საზოგადოების კავშირი, მაგრამ მან ვერ შესძლო მისი ყოველმხრივი ახსნა. ფუნქციონალისტური თეორია არ ითვალისწინებს რელიგიის გამოყენებას მასების საექსპლოატაციოდ; გარდა ამისა, ის ვერ ახსნის რელიგიის მიერ გამოწვეულ რადიკალურ სოციალურ ცვლილებებს.

კონფლიქტის თეორიის მიმდევრები ამტკიცებენ, რომ რელიგია აძლიერებს საზოგადოებაში გაბატონებული ჯგუფების მდგომარეობას, რომლებიც ჩაგრავენ ნაკლებად გავლენიან ჯგუფებს. ეს ხორციელდება რწმენის საშუალებით, რომელიც დაბალ ფენებს უკეთეს ცხოვრებას იმ სამყაროში პირდება. ეს არიდებს მათ ყურადღებას ამქვეყნიურ პრობლემებს. როგორც უკვე ვიცით, ქრისტიანული მოძღვრების თანახმად, სიღარიბე სიკეთით ითვლება. ამას გარდა, ქრისტიანები ცოდვად თვლიან ბოღმასა და აგრესიულობას, ისინი ურჩევენ ხალხს მტრის სიყვარულს, თუ ერთ ლოყაზე გააწიან სილას, მეორის შემვერას.

მაქს ვებერმა გამოავლინა კავშირი პროტესტანტულ რწმენასა და საზოგადოების სოციალურ მოწყობას შორის სამრეწველო განვითარების ადრინდელ ეტაპზე. მან აღნიშნა, რომ მუშათა კლასი შეურიგდა თავის სიდუხჭირეს, რადგან მას ბედნიერებას იმ სამყაროში დაპირდნენ. ამასთანავე მის ყურადღებას არ გამოეპარა, რომ სხვადასხვა კლასები ყურადღებას აქცევენ რელიგიური მოძღვრების სხვადასხვა ასპექტებს - ზედა ფენა ითვისებს რელიგიურ შეხედულებებს, რომლებიც ამართლებენ მათ პრივილეგიებს, ხოლო დაბალი ფენები, საშუალო კლასი და მუშები რელიგიაში აღიქვამენ იმას, რაც მომავალში პირდება სიკეთეს და არა დღეს.

კონფლიქტის თეორიის პოზიციიდან რელიგიის ყველაზე დამაჯერებელი ახსნა ეკუთვნის კარლ მარქსს; მას რელიგია მიაჩნია კლასობრივი ბატონობის იარაღად. ფროიდის მსგავსად მარქსი რელიგიას ილუზიად, მითად მიიჩნევს, რომელიც ამშვიდებს ადამიანს, როდესაც ცხოვრება არ წყალობს მას. მარქსი ვარაუდობს, რომ რელიგია ნიღბავს არა მხოლოდ შიშსა და განგაშს, ასევე ექსპლოატაციის უსამართლობას კლასობრივ სისტემაში. მარქსს მიაჩნია, რომ კაპიტალისტების კლასი მხარს უჭერს სულის ხსნას, რაც ნერგავს მორჩილებასა და პატივისცემას ძლიერთა მიმართ, რათა

გადაიტანოს მუშათა ყურადღება ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემის წინააღმდეგ ბრძოლიდან, რაც იყო მათი ტანჯვის საფუძველი.

მარქსი წერს: „რელიგიური სიმახინჯე ერთსა და იმავე დროს არის ნამდვილი სიმახინჯის გამოხატვა და პროტესტი ამ სიმახინჯის წინააღმდეგ. რელიგია - ეს არის ჩაგრულთა ამოსუნთქვა, უგულო სამყაროს გული, მსგავსად იმისა, რომ ის - უსულო წესრიგის სულია. რელიგია არის ხალხის ოპიუმი.“ (მარქსი, 1844).

მეთოდი და გაზომვა: კულტის შესწავლასთან დაკავშირებული

ეთიკური პრობლემები.

50-იანი წლების დასაწყისში მინესოტას უნივერსიტეტის ფსიქოლოგებმა დაიწყეს მცირე ზომის რელიგიური ჯგუფის შესწავლა შუა დასავლეთში. ჯგუფს ხელმძღვანელობდა დიასახლისი, რომელიც ირწმუნებოდა, რომ მან მიიღო მითითება სხვა პლანეტიდან ავტომატური წერილის სახით. ამ პლანეტის მკვიდრნი, რომელთაც კლარიონები ერქვათ, სტუმრობდნენ დედამიწაზე მფრინავი თევზებით. მათ „შეატყობინეს“ მას, რომ შენიშნეს დედამიწის ქერქის გამრუდება, რაც გამოიწვევდა გიგანტურ წყალდიდობას, რომლის შედეგად გაჩნდებოდა უზარმაზარი ზღვა ჩრდილოეთის პოლარული წრიდან მექსიკის ყურემდე. ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის დასავლეთი ნაწილი წყლით დაიფარებოდა. ამ ქალბატონმა და მისმა მიმდევრებმა დააფუძნეს მოძრაობა, რომელიც ელოდა სამყაროს დასასრულს. ფსიქოლოგებს აინტერესებდათ - როგორ მოიქცეოდა ეს ჯგუფი თუ მოლოდინი არ გამართლდებოდა და კატასტროფა არ მოხდებოდა. გააძლიერებს კი ეს ჯგუფის რწმენას? თუ გაოგნებულები უარს იტყვიან რწმენაზე? თუ ისინი უფრო ღრმად გაიაზრებენ მოვლენებს და წინ წამოსწევენ ახალ პროგნოზს?

კვლევარებმა შეარჩიეს ჩართული დამკვირვებლის მეთოდი, რადგან ის უფრო ეფექტურად ჩათვალეს ამ შემთხვევაში უფრო დამაჯერებელი პასუხების მისაღებად. შემდგომ მათ აღიარეს, რომ „თავიანთი მიზნები არ შეუტყობინებიათ ჯგუფისათვის“. ისინი შეუერთდნენ ჯგუფს, როგორც მორწმუნენი. თვლიდნენ, რომ თუ გაამჟღავნებდნენ თავიანთ მიზნებს ჯგუფის წევრები არ მოიქცეოდნენ ბუნებრივად და კვლევის შედეგი ამით მინიმალური იქნებოდა.

ისინი იქცეოდნენ, როგორც „უპრეტენზიო, ყურადღებიანი მსმენელები, ავლენდნენ ცნობისმოყვარეობას და სწყუროდათ გაეგოთ თუ სხვები რას გაანდობდნენ მათ“. მაგრამ მხოლოდ პასიურ დამკვირვებლად დარჩენა შეუძლებელი იყო. ჯგუფში ჩართვით მათ ხელი შეუწყვეს მის გაფართოებასა და გაძლიერებას. ისინი სხვებთან ერთად ქადაგებდნენ და იძულებული იყვნენ დაეკავათ გარკვეული პოზიციები სადავო საკითხებთან დაკავშირებით. გააცნეს რა თავი მორწმუნეებად, ფსიქოლოგები მიდიოდნენ რისკზე და საბოლოო ჯამში მათ მართლაც მოახდინეს გავლენა ჯგუფზე. გარკვეულწილად ეს აისახა კვლევის შედეგებზე. მაგრამ სხვანაირად მოქცევის შემთხვევაში შეიძლება ყოველგვარი შედეგი გამორიცხულიყო. (საჭიროა შევნიშნოთ, რომ როდესაც ნავარაუდები წყალდიდობა არ მოხდა ჯგუფის დიდი ნაწილი არ

დაშლილა. მოიძებნა ახსნა: „ჩვენს შორის იყვნენ ურწმუნონი, წარღვნა მოხდება მოგვიანებით“. სექტის სხვა წევრები განუდგნენ რწმენას. ამ გზით ლ.ფესტინგერმა გამოავლინა კოგნიტური დისონანსი გადაჭრის ერთ-ერთი კანონზომიერება).

ადრე ასევე იქცეოდნენ ჯონ ლოფლანდი და მისი კოლეგები, როდესაც იკვლევდნენ სხვა კულტს - „ღვთიური პრინციპის“ სახელწოდებით. ამ ჯგუფს ხელმძღვანელობდა კორეელი წარმოშობის ახალგაზრდა ინჟინერ-ელექტრიკოსი. ის თავს იესო ქრისტედ თვლიდა, რომელიც დაუბრუნდა ამ ქვეყანას რათა შეექმნა სამოთხე თავისი მიმდევრებისათვის. ლოფლანდს აინტერესებდა ადამიანთა ტიპები, რომლებიც შეუერთდნენ ამ მოძრაობას. ის ასევე ცდილობდა გაეგო, თუ როგორ მოახერხეს მათი დაყოლიება და როგორ შთააგონეს მიეღოთ ეს რწმენა.

თავიდან ლოფლანდი და მისი მეგობრები თავს ასაღებდნენ „გულშემატკივრებად და ადამიანებად, რომლებიც რწმენის მიღებისას ყოყმანობდნენ“. მაგრამ, როდესაც ისინი აიძულეს მიეღოთ რწმენა, მკვლევარებმა გადაწყვიტეს, რომ „მათთვის არასახარბიელოა თვალმაქცობა. ეს მოითხოვდა დიდ ფიზიკურ და მორალურ ძალისხმევას და ასევე ეკონომიკურ დანახარჯებს“. მათ თხოვეს ნებართვა ჯგუფის დაკვირვებისათვის, განაცხადეს რომ არიან სოციოლოგები და აინტერესებთ „ახალი რელიგიური მოძრაობები“. მათ ნება დართეს და რამდენიმე თვის განმავლობაში ისინი ესწრებოდნენ კრებებს, სვამდნენ კითხვებს და იქცეოდნენ, როგორც თანაგრძნობიანი დამკვირვებლები. გარკვეული დროის შემდეგ ხელმძღვანელებმა განუცხადეს ლოფლანდს, რომ მათ მოხეზრდათ „მკვლევართა ფოკუსები“ და მათი უარი გახდნენ ჭეშმარიტი მორწმუნენი. ჯგუფმა მოითხოვა ლოფლანდის საქმიანობის შესახებ ანგარიშის ცენზურა. მუშაობა შეწყვეტილ იქნა.

თუმცა ეს ორი კვლევა ხორციელდებოდა სხვადასხვა საშუალებებით, აქ დაისვა რელიგიური მოძრაობების შესწავლასთან დაკავშირებული კითხვები. რამდენად გამართლებულია ეთიკურად სოციოლოგის მიერ თავის გასაღება მორწმუნედ? თუ ეს არაეთიკურია, მაშინ რამდენად მართალი უნდა იყოს მკვლევარი რომ მის მოღვაწეობას შედეგი ქონდეს, იყოს ნაყოფიერი? მიწისოტას შტატის მეცნიერთა ჯგუფს არავითარი წარმატება არ ექნებოდა თუ კულტის წევრებს გულახდილად გააცნობდნენ თავიანთ მიზნებს, რომ აინტერესებთ მათი რეაქცია თუ ვარაუდი არ გამართლდებოდა. რაც შეეხება პრაქტიკულ ასპექტს, როგორი ზემოქმედებას აქვს გავლენა კულტის წევრებზე: აბსოლუტურად პატიოსანს, ნაწილობრივ პატიოსანს თუ „თვალთმაქცობას“. რომელი მეთოდი კვლევის შედეგებისათვის მინიმალურად საზიანო?

რელიგიური კულტების მკვლევართა უმრავლესობა ცდილობს პრაგმატულად მიუდგეს ამ პრობლემას; მსგავსად ლოფლანდისა, ისინიც აღიარებენ, რომ კვლევისას მთლიანად არ ავლენენ თავიანთ მიზნებს. ალბათ ასეთ მიდგომას მოაქვს ყველაზე დამაკმაყოფილებელი შედეგები, მაგრამ ეთიკური და პრაქტიკული პრობლემები გადაუჭრელი რჩება.

რელიგია და პოლიტიკური კონფლიქტი.

კონფლიქტოლოგიური თეორიის მომხრენი ასევე აღნიშნავენ, რომ რელიგიური მოძრაობები ხშირად მჭიდრო კავშირშია პოლიტიკურ კონფლიქტებთან. გამოაგნებელი მაგალითია კულტი, როგორც კოლონიური ძალაუფლების განადგურების სიმბოლო.

XX საუკუნის პირველ ნახევარში წყნარი ოკეანის მელანეზიის კუნძულებზე ევროპელი კოლონისტების ჩამოსვლის შემდეგ ადგილი ქონდა უცნაურ რელიგიურ ცერემონიებს, რომელსაც ეწოდა „განადგურების“ კულტი. ეს კულტი შექმნეს ტუზემცებმა, რომელთაც სწამდათ სამყაროს დასასრულის და იმის, რომ გადარჩებიან მხოლოდ ისინი, რომლის შემდეგ ღმერთი მათ დალოცავს, მიაგებს სიმდიდრეს, მშვიდობას და ჰარმონიას (ესაა ქრისტეს მეორედ მოსვლის სიმბოლო, მისი ათასწლეული ბატონობა). ამ კულტისათვის დამახასიათებელი ყველაზე დრამატული რიტუალი იმაში მდგომარეობდა, რომ მისი წევრები იკრიბებოდნენ ველზე ან მდინარის პირას და ანადგურებდნენ თავიანთ ნივთებს, რომელიც მათ აკავშირებდათ მიწიერ ცხოვრებასთან. ამ წუთებში მათ სწამდათ, რომ ჰორიზონტზე გამოჩნდება სიმდიდრით დატვირთული გემი (ზოგჯერ თვითმფრინავი): კონსერვებით, სხვადასხვა ტექნიკური სიახლეებით და ფუფუნების საგნებით, რაც ჭეშმარიტი მორწმუნეებისათვის იყო განკუთვნილი.

„განადგურების“ კულტი შეიძლება შვაფასოთ, როგორც კონფლიქტი ევროპელ კოლონისტებსა და ტუზემცებს შორის. ბელშოუ აღნიშნავდა, რომ ისინი ძირითადად ჩამოყალიბდნენ სამ რეგიონში, სადაც ევროპელებმა დაარღვიეს მათი სიმშვიდე, მაგრამ არ აძლევდნენ ცხოვრების უფრო მაღალი დონის იმედს. იქ სადაც ტუზემცები ჩართეს სამრეწველო და კომერციულ საქმიანობაში და იქ სადაც არ შესულა დასავლეთის გავლენა, კულტი არ შექმნილა.

მეტიც, „განადგურების“ კულტის წევრთა რწმენა, როგორც ეტყობა აისახა კოლონისტებთან მტრულ მიმართებაში. კულტი სიბოლოა განადგურებისა და იმავდროულად მოსულთა მიერ მიტაცებული მატერიალური სიმდიდრის დაბრუნებისა. იგულისხმებოდა, რომ ეს მოხდებოდა ქრისტეს მეორედ მოსვლის დროს. გიარტი და უერსლი აღნიშნავდნენ, რომ დროის მსვლელობაში ბევრმა კულტმა დაიწყო კოლონიური ბატონობის წინააღმდეგ ჩაგრული ხალხის პროტესტის ღიად გამოავლენა. ამგვარად ისინი გადაიქცნენ პოლიტიკურ ჯგუფებად.

რელიგია და სოციალური ცვლილებები.

კონფლიქტის მომხრეთა თვალსაზრისით, რელიგია სოციალური ცვლილებების ხელშემწყობი ძალაა. რელიგიურ მისწრაფებებს შეუძლია საზოგადოების რადიკალური შეცვლა. ამას მოწმობს ირანის მოვლენები - აიათოლა ჰომეინის ხელმძღვანელობით მუსულმანმა-შიიტებმა დაამხეს ირანის შაჰის მთავრობა და შეეცადნენ ირანის მოსახლეობის ყოველდღიური ყოფა აეგოთ მუსულმანური რწმენის მოთხოვნების შესაბამისად.

საზოგადოებაზე რელიგიის გავლენის ისტორიული ანალიზი მოცემულია მაქს ვებერის კლასიკურ გამოკვლევაში. გერმანელი მეცნიერი დაინტერესდა კალვინიზმის

(პროტესტანტიზმის ნაირსახეობა, ეფუძნება XVI საუკუნის დასასრულის თეოლოგის ჟან კალვინის მოძღვრებას). კალვინიზმი იმით გამოირჩევა, რომ ამტკიცებს ადამიანის ბედის წინასწარგანსაზღვრულობას. ამ რწმენის მიხედვით ადამიანის დაბადებამდე ღმერთი განსაზღვრავს, შესძლებს თუ არა ის სულის ხსნას. ზოგი მიაღწევს ხსნას, ზოგიც განწირულია ჯოჯოხეთისათვის. რა თქმა უნდა, იმათთვის ვისაც ხსნა ელის სურს სურს იცოდეს, რომ ის „რჩეულთა“ შორისაა. ციური მფარველობა ყველაზე მეტად ჩანს მათთვის მიგებულ მატერიალურ სიკეთეში: თუ მათ ციური მადლი მფარველობა მათი საქმიანობა, ჩვეულებრივ, წარმატებულია, რა თქმა უნდა თავდადებული შრომის, დისციპლინისა და თვითკონტროლის პირობებში“. როდესაც წარმატებას აგვირგვინებს მაღალ მიზნებს დაქვემდებარებული კეთილგონიერება, ზომიერება და ქცევა, და არა მხოლოდ მიწიერი სიმდიდრის შექმნა, ეს შეიძლება გაგებულ იქნას, როგორც ნიშანი „ღვთიური კეთილგანწყობისა“ – წერდა ვებერი.

ქცევის ეს ტიპი ცნობილი გახდა შრომის პროტესტანტული ეთიკის სახელით და ვებერი ვარაუდობდა, რომ მან ძირითადი როლი შეასრულა კაპიტალიზმის განვითარებაში. სიკეთე, რომელსაც დიდად აფასებდნენ კალვინისტები მართლაც რომ აღიარებულ იქნა კაპიტალიზმში: მიუღებელია შემოსავლის ფლანგვა ზედმეტ ნივთებსა და ფუფუნების საგნებზე, უფრო მიზანშეწონილია მათი მრეწველობის განვითარებისათვის მოხმარება. რა თქმა უნდა, კაპიტალიზმის ტრიუმფი არ იყო მხოლოდ შრომის პროტესტანტული ეთიკის რეზულტატი. ვებერი აღნიშნავს სხვა ფაქტორებსაც, მაგალითად სამხედრო ბიუჯეტის როლი და სამომხმარებლო საგნებზე მაღალი მოთხოვნილება, რაც ხელს უწყობდა მრეწველობის განვითარებას. მან ასევე აღიარა, რომ საზოგადოებასაც შეეძლო გავლენა რელიგიაზე, ისევე როგორც რელიგია ახდენს გავლენას საზოგადოებაზე - ეკონომიკურ და სოციალურ ცვლილებებს შეეძლოთ გამოიწვიათ ცვლილებები რელიგიურ ცნობიერებაში. მაგალითად, პროტესტანტული რეფორმაციის გავლენით შეიცვალა საზოგადოების არა მხოლოდ ეკონომიკური სტრუქტურა, ასევე შეიცვალა საზოგადოების სხვა ინსტიტუტებიც, მეცნიერების, სამართლისა და განათლების ჩათვლით. კალვინიზმით გამოწვეულმა ცვლილებათა კომპლექსმა გარდაქმნა საზოგადოების სოციალური წყობა.

რელიგია ამერიკაში.

აშშ ერთ-ერთი იმ ქვეყანათაგანია სადაც უამრავი სარწმუნოებებია - დენომინაციები. ამერიკული რელიგიური თავისუფლება ჩაისახა კოლონიალური პერიოდის დასასრულს, როდესაც ანგლიკანური ეკლესიისადმი მტრული დამოკიდებულება და აშშ უამრავი რელიგიური მიმდინარეობების გაცნობიერებამ განაწყო პოლიტიკური მოღვაწეები ისეთი გადაწყვეტილების მისაღებად, რომელიც გამორიცხავდა ერთი რელიგიური ჯგუფის პრივილეგიურებას სხვა ჯგუფების მიმართ. შედეგად გაჩნდა რელიგიის სახელმწიფოსაგან გამოყოფის იდეა, რომელიც ქვეყნის კონსტიტუციაში აისახა, როგორც პირველი შესწორება, ხოლო შემდეგ აისახა ყველა შტატის კონსტიტუციებში. ეს სამართლებრივი დაცვა უზრუნველყოფს „თავისუფალ კონკურენციას სულიერ სფეროში“, ამავე დროს ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფა მიზეზი გახდა სოციალური და სამართლებრივი პრობლემებისა, განსაკუთრებით ისეთ

სფეროებში როგორცაა სახელმწიფო განათლება და კულტის ახალი წევრებით შევსება. მიუხედავად ამ პრობლემებისა, რწმენის თავისუფლება გახდა საფუძველი რელიგიური პლურალიზმისა და შემწყნარებლობისა. მას ნათლად ადასტურებს 200 დენომინაცია, რომელიც დღეს არსებობს აშშ (130 დენომინაციამ განაცხადეს თავიანთი რიცხვობრივი რაოდენობის შესახებ, დანარჩენებმა თავი შეიკავეს).

რელიგია და სოციალური განწყობა.

რა გავლენა აქვს ამ პლურალიზმს აშშ სოციალურ ცხოვრებაზე? აქვთ თუ არა სხვადასხვა რელიგიური მიმდინარეობების წარმომადგენლებს განსხვავებული პოლიტიკური და სხვა შეხედულებები? გერჰარს ლენსკის მიერ 50-იანი წლების ბოლოს დეტროიტში ჩატარებულმა გამოკვლევებმა გამოავლინა პროტესტანტების, იუდაისტებისა და კათოლიკების განსხვავებული ღირებულებები. მაგალითად, ყოველი მათგანის წარმომადგენლებს დაუსვეს კითხვა - შეიძლება თუ არა სიტყვის თავისუფლებაზე დაყრდნობით პრეზიდენტის კრიტიკა, გამოსვლა რელიგიის წინააღმდეგ და ფაშიზმის მხარდაჭერა? პასუხებში სამივე ჯგუფმა გასაოცარი განსხვავება აჩვენა. თეთრმა პროტესტანტებმა შედარებით ლიბერალობა გამოამჟღავნეს, მეორე ადგილზე იყვნენ იუდაისტები, ყველაზე ნაკლებად ლიბერალები იყვნენ შავი პროტესტანტები. თეთრმა კათოლიკებმა შუალედური პოზიცია დაიკავეს. განსხვავებული იყო პასუხები ისეთ საკითხებშიც, როგორცაა აზარტული თამაშები, ალკოჰოლური სასმელები, კონტროლი შობადობაზე, განქორწინებები და სავაჭრო დაწესებულებების მუშაობა კვირაობით. გამონაკლისის მიუხედავად იუდაისტები აღმოჩნდნენ სხვაზე ნაკლებად კრიტიკულები ამ საკითხებში. შავი და თეთრი პროტესტანტები კიცხავდნენ აზარტულ თამაშებსა და ალკოჰოლის მიღებას უფრო, ვიდრე კათოლიკები და იუდაისტები. როგორც მოსალოდნელი იყო კათოლიკები უფრო მკაცრად გამოდიან შობადობის კონტროლისა და განქორწინებების წინააღმდეგ, ვიდრე სხვა ჯგუფები. მაგრამ ლენსკის განზოგადებები ეჭვს იწვევს ორი ფაქტორის გამო. ჯერ-ერთი, შერჩევითი კვლევა მიმდინარეობს დეტროიტის ბაზაზე, სხვა შედეგი იქნებოდა ქვეყნის მამულებით ჩატარებული შერჩევის დროს. მეორე, ეს ინფორმაცია ეფუძნება ძალზე დიდი ხნის მონაცემებს; ამ დროის განმავლობაში ამერიკულ საზოგადოებაში ადგილი ქონდა მნიშვნელოვან ცვლილებებს.

ყველაზე გვიანდელი გამოკვლევა რელიგიის სოციალოგიურ ასპექტებზე, ეხება „კონვერგენციის“ ანალიზს, პროტესტანტებსა და კათოლიკებს შორის მსგავსების ზრდას სოციალურ საკითხებში. 1968 წელს კათოლიკეთა 74% ამართლებდა შობადობის კონტროლს, მაშინ როდესაც ლენსკის მონაცემებით 37%-ია. (პროტესტანტები ჩვეულებრივ ამართლებენ შობადობის კონტროლს). 60-იან და 70-იან წლებში კათოლიკებისა და პროტესტანტების დამოკიდებულება აბორტების მიმართ ერთმანეთს დაუახლოვდა. მაგრამ მათ შორის დარჩა სხვაობა ზოგიერთ სადავო საკითხებთან დაკავშირებით, მაგალითად, დასაშვებია თუ არა რელიგიური ცენზურა წიგნებზე და ყველას უნდა ქონდეს თუ არა უფლება ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებების გამოყენებისა.

რელიგია და სოციალური ურთიერთქმედება.

ლენსკი ვარაუდობდა, რომ ამა თუ იმ რელიგიისადმი უპირატესობის მინიჭება გავლენას იქონიებს სოციალურ ურთიერთქმედებებზე, ადამიანთა ცხოვრებისეულ პოზიციებზე. მან დაადგინა, რომ კათოლიკეები უფრო ერთგულნი არიან თავიანთი ოჯახებისა, ვიდრე პროტესტანტები, მაგრამ ნაკლებად არიან ჩართულნი სხვა ტიპის ნებაყოფილობით ორგანიზაციებში. მაგრამ უფრო გვიანდელმა გამოკვლევებმა ეს მონაცემებიც ეჭვს ქვეშ დააყენა. მაკინტოში და ელსტონი შეეცადნენ აღედგინათ ლენსკის თავდაპირველი გამოკვლევები, მაგრამ გამოიყენეს შერჩევითი მეთოდი მთელი ქვეყნის მასშტაბით 70-იანი წლების შუა და დასასრულს მათ ოჯახებთან მიმართებასა და ნებაყოფილობით ორგანიზაციებში მონაწილეობის თაობაზე პროტესტანტებსა და კათოლიკებს შორის აღმოაჩინეს უმნიშვნელო განსხვავება. რელიგიურობის დონე ორივე კონფესიისათვის იყო დამოუკიდებელი ცვლადი. პროტესტანტებსა და კათოლიკებს, რომლებიც ყოველთვის ხაზს უსვამდნენ ეკლესიისადმი ერთგულებას (საფუძველი - ეკლესიაში სიარულისა და საეკლესიო საქმეებში მონაწილეობის სიხშირე) უფრო ფართო ინტერესები აღმოაჩნდათ ეკლესიის გარეთ. მაკინტოშისა და ელსტონის აზრით ეს მონაცემები, განსხვავდებიან რა ლენსკის მონაცემებისაგან, ცხადყოფენ, რომ „მეორე მსოფლიო ომის შემდეგ რომაულ-კათოლიკური უმცირესობა ნაკლებადაა იზოლირებული ამერიკული საზოგადოებისაგან .

უნდა გვახსოვდეს, რომ ადამიანთა ქცევებსა და სოციალურ პოზიციებზე რელიგიის პარალელურად სხვა ფაქტორებიც ახდენენ გავლენას. თუმცა სოციოლოგი ცდილობს გამოაცალკევოს რელიგიის გავლენა სხვა ფაქტორების გავლენისაგან (მაგალითად, დაბადების ადგილი, სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი, კლასობრივი მიკუთვნებულობა) ზოგიერთი მათგანი არსებითად ზემოქმედებს ადამიანთა შეხედულებებზე. მაგალითად, ზოგიერთი დენომინაციის გამოკვლევის შედეგად გლოკმა და სტარკმა (1966) დაადგინეს, რომ სამხრეთ შტატების ბაპტისტები უფრო მკაცრად ეპყრობიან ზანგებს.

რელიგიის მნიშვნელობა ამერიკულ საზოგადოებაში.

საკმაოდაა მონაცემები იმის თაობაზე, რომ თუმცა ორგანიზებულმა რელიგიამ დაკარგა თავისი მნიშვნელობა აშშ, მაგრამ ის რჩება საზოგადოების ნაწილად, რომლის გავლენა გათვალისწინებულ უნდა იქნას. რამდენადაა მნიშვნელოვანი რელიგია ამერიკელებისათვის? ძნელია რელიგიურობის ან რელიგიური გრძნობების გაზომვა. განვიხილოთ ისეთი ფაქტორი, როგორცაა ეკლესიაში სიარული. (სქემა 15-1).

ნაჩვენებია, რომ ზრდის პერიოდის შემდეგ ყოველდღიური სიარული ეკლესიაში 50-იან წლებში მკვეთრად დაბლდება, ხოლო შემდეგ, 1971 წელს კვლავ მაღლდება 40%-ით. მაგრამ, შეიძლება კი ეკლესიაში სიარული მივიჩნიოთ რელიგიურობის საიმედო მაჩვენებლად? ალბათ ზოგიერთი ღრმად მორწმუნე დადის ეკლესიაში, სხვები მიჩვეულნი არიან. მესამეს იზიდავს ღვთისმსახურების სილამაზე, ეკლესიაში

დამკვიდრებული სიმშვიდის ატმოსფერო, ტკბებიან მუსიკით, ყვავილებით. მეორე მხრივ არსებობენ ღრმად მორწმუნე ადამიანები, რომლებიც არ დადიან ეკლესიაში.

შეიძლება რელიგიურობა განვიხილოთ სხვა თვალსაზრისითაც - პიროვნული რწმენის გათვალისწინებით. ამ ასპექტით სავსებით სხვა სურათი ვლინდება. აშშ პიროვნული რელიგიური რწმენის მქონე მოქალაქეთა რიცხვი გაცილებით მეტია, ვიდრე დასავლეთის ნებისმიერ ინდუსტრიულ ქვეყანაში (სქემა 15-2).

მთლიანობაში ამერიკელთა 94%-ს სწამს ღმერთი, და 71%-ს სიკვდილის შემდეგ სიცოცხლისა. რატომაა ასეთი დიდი სხვაობა რელიგიური წესების ფორმალურ დაცვასა (მაგალითად, ეკლესიაში სიარულსა) და პიროვნულ რელიგიურ მრწამსს შორის? აი როგორ ხსნის ამას ევერეტ ლედი (1979). რამდენადაც რესპოდენტთა 81% აქვს ერთნაირი თვალსაზრისი: „თავისი ინდივიდუალური რელიგიური მრწამსი ინდივიდმა უნდა ჩამოაყალიბოს ნებისმიერი ეკლესიისა და სინაგოგისაგან დამოუკიდებლად“, ლედი აშშ უწოდებინდივიდუალისტური რწმენის ქვეყანას.

პიროვნული რელიგიურობის მაღალი დონის მეორე მიზეზია, ალბათ, ამერიკელთა მიდრეკილება იმისაკენ, რასაც ბელაჰმა დაარქვა სამოქალაქო რელიგია. სამოქალაქო რელიგიის გულისხმობს იმის რწმენას, რომ აშშ არის „აღთქმული მიწა“ სადაც ღმერთმა მოიყვანა ჩაგრულები ევროპიდან, მსგავსად იმისა თუ როგორ დაეხმარა ის ებრაელებს ეგვიპტიდან წასვლაში. როგორც ბელაჰი წერს, ბევრ ამერიკელს მიაჩნია, რომ ღმერთი „აქტიურად ინტერესდება ადამიანების ისტორიით, მონაწილეობასაც კი ღებულობს მასში, მაგრამ ამერიკელების მიმართ ავლენს განსაკუთრებულ ზრუნვას“ (გვ.9). ეს აისახა ამერიკის ისტორიაში - პრეზიდენტების გამოსვლებში, სახელმწიფოებრივ ცერემონიებსა და დღესასწაულებში. ამერიკელები იფიცებენ „ღმერთის რჩეულ ერთიან ნაციას“, მრავალი ცერემონიები იწყება ლოცვით, ამერიკულ დოლარებზე ჩანაწერებიც კი ამტკიცებენ, რომ „ჩვენ გვწამს ღმერთი“. თავისუფალი რწმენისათვის მეტროპოლები ბოლო ხანებში მოუწოდებენ სამოქალაქო რელიგიის გავრცელებისაკენ - ისინი ცდილობენ სახელმწიფო სკოლებში ლოცვების აღადგენას.

თანამედროვე რელიგიის განვითარების ტენდენციები.

სეკულარიზაცია.

სეკულარიზაცია ეწოდება „პროცესს, რომლის დროსაც ეჭვი შეაქვთ ზებუნებრივსა და მასთან დაკავშირებული რიტუალებში და რელიგიის ინსტიტუტი კარგავს თავის სოციალურ გავლენას“. სეკულარიზაციას მრავალი ფაქტორი განაპირობებს. ჩვენ ზოგიერთს შევხებით.

1 მეცნიერების განვითარება. რელიგია და მეცნიერება ერთმანეთს უპირისპირდებიან საუკუნეების განმავლობაში. კათოლიკურმა რელიგიამ გალილეი დასაჯა პლანეტების

კვლევის გამო; კლერენს დაროუ გამოვიდა რელიგიური ფუნდამენტალისტების, სკოუპის წინააღმდეგ ე.წ. მაიმუნის პროცესზე 1920 წელს. დღეისათვის მეცნიერებას ტექნოლოგიების განვითარების მაღალი დონის წყალობით გავლენა აქვს მთელს ჩვენს ცხოვრებაზე. ეს ყოველ წუთს იგრძნობა. ბოლო 100 წლის მანძილზე უამრავი აღმოჩენების მოწმენი ვართ, მათ შორის უმრავლესობა ბოლო 20 წელზე მოდის. მეცნიერების საფუძველზე შექმნილი ტექნოლოგია ბატონობს ჩვენს ცხოვრებაში და რაღაც დოზით ჩვენ დავკარგეთ რაიმეს დაჯერების სურვილი დამტკიცების გარეშე.

2. სახელმწიფოს განვითარება. თანამედროვე სახელმწიფო რელიგიისაგან გამოყოფილია. სახელმწიფოთა უმრავლესობა საეროა - ისინი უფრო ეწევიან ადამიანების მატერიალურ უზრუნველყოფას, ვიდრე მათ სულიერ ჯანმრთელობას. იმ ქვეყნებშიც კი სადაც ისტორიულად ჩამოყალიბდა მჭიდრო კავშირი რელიგიასა და მმართველობის ფორმებს შორის, რელიგია კარგავს გავლენას. მაგალითად, ირლანდიაში, სადაც ბატონობს კათოლიკური ეკლესია, აკრძალულია ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებებით ვაჭრობა, მაგრამ არსებობს რიგი კერძო ორგანიზაციები სადაც ეს საშუალებები ხელმისაწვდომია. ასევე საფრანგეთსა და იტალიაში ქალებს შეუძლიათ აბორტების გაკეთება, თუმცა ეს აკრძალულია კათოლიკური ეკლესიის მიერ.

3. კაპიტალიზმის განვითარება. კაპიტალისტური საზოგადოება ალბათ ასუსტებს ეკლესიის გავლენას, მიმართავს ადამიანებს ისეთი ანტირელიგიური ღირებულებებისაკენ, როგორცაა დაგროვება და სწრაფვა ფუფუნებისაკენ. გარდა ამისა, დიდი რელიგიური დრესასწაულები - „აღდგომა“ და „შობა“ კაპიტალიზმის წყალობით გადაიქცნენ უბრალო „უქმე დღეებად“, რასაც ხშირად თან სდევს ზომიერადაჭარბებული საერო საქმეები, ახალი ტანსაცმელი, საჩუქრები, ტკბილეულობა და ა.შ.

4. კომპრომისები რელიგიის სადაო საკითხებზე. რელიგიური კონფლიქტების დარეგულირება ხშირად იწვევს რელიგიური პრინციპებისა და რიტუალების დასუსტებას. ესაა სურვილი არ აწყენინო დაპირისპირებულ მხარეს. მაგალითად, ერთი კონფესიის მეორეზე უპირატესობის დასაფარავად სახელმწიფო სკოლებში სასწავლო გეგმებიდან ამოღებულია რელიგიური მასალები. ასეთი კომპრომისი შეინიშნება კათოლიკური ეკლესიის საქმიანობაში, რომელმაც ოფიციალურად განაცხადა უარი ტრადიციულ რომაულ-კათოლიკურ ლიტურგიაზე – მესა იკითხება მსმენელის ენაზე და უკვე დიდი ხანია ბიბლია გამოდის მრავალ ენაზე.

5. ერთობის რღვევა. ნებისმიერი კომიტეტი, რომელიც განიხილავს ეკლესიის წევრობის საკითხს, იტყვის, რომ მისი საქმიანობის ყველაზე დიდი პრობლემაა ახალი წევრების მოძიება და ძველების შენარჩუნება. ძირითადად ეს ხდება ამერიკული საზოგადოების არასტაბილურობისა და მობილურობის გამო. ამერიკელები ხშირად იცვლიან შტატებსა და ქალაქებს და ამიტომ მწელი ხანგრძლივი კავშირების დამყარება რომელიმე რელიგიურ ერთობასთან.

6. სხვა ინსტიტუტები. არა მხოლოდ შობა და აღდგომა არიან კომერციალიზირებული, ასევე სხვა საერო დღესასწაულებმაც შეცვალეს საეკლესიო ღონისძიებები მორწმუნეთათვის.

ზოგიერთი მკვლევარი, მაგალითად ენდრიუ გრილი ამტკიცებს, რომ არ მცირდება რელიგიის როლი ამერიკაში და ეს ტენდენცია შენარჩუნდება რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში. გრილი ვარაუდობს, რომ მორწმუნეთა რაოდენობა და ეკლესიის მრევლის რაოდენობა დარჩება დღევანდელ დონეზე ან გაიზრდება კიდევ, რადგან ადამიანებს სჭირდებათ საზრისი მიანიჭონ თავის ცხოვრებას და შეიმსუბუქონ სიკვდილის, მათთვის დამახასიათებელი შიში. სოციოლოგები პიტერ ბერგერი და თომას ლუკმანი, აღიარებდნენ რა ორგანიზებული რელიგიის დაცემას, ხაზს უსვამენ იმ ადამიანთა რიცვობრივ ზრდას, რომელთაც იმედი აქვთ, რომ პიროვნული რელიგიური რწმენა დაეხმარება მათ დასძლიონ ცხოვრებისეული პრობლემები და გადალახონ სიკვდილის შიში; მათ ასევე სწამთ, რომ რელიგიურობის დონე ამერიკულ საზოგადოებაში თითქმის არ შეიცვლება.

ეკუმენიზმი.

ორგანიზებული რელიგიის მხრიდან სეკულარიზაციის საწინააღმდეგო ტენდენციას წარმოადგენს ეკუმენიზმი - განსხვავებული კონფესიების სწრაფვა გადრმავებული თანამშრომლობისა და ურთიერთგაგებისაკენ. ხშირად ეს ხორციელდება კონფესიებსა და დენომინაციებს შორის ურთიერთობის მაკონტროლებელ ორგანიზაციების მუშაობაში მონაწილეობის მიღებით, მაგალითად, მსოფლიო საეკლესიო საბჭოსა და ეკლესიის ეროვნული საბჭოს მუშაობაში მონაწილეობით. ადგილი აქვს პროტესტანტული დენომინაციების გაერთიანების მცდელობას, ზუსტად ასევე შეინიშნება კათოლიკეთა და პროტესტანტთა კონვერგენციის ტენდენცია. გარდა სეკულარიზაციისა, ეკუმენიზმი აშშ გაპირობებულია სხვა მიზეზებითაც. ამერიკელების დიდ ნაწილში ნაციონალიზმის აღორძინება, როგორც ეტყობა, ხელს უწყობს ეკლესიის მოღვაწეთა სწრაფვას ზოგიერთი რელიგიური მიმდინარეობების გაერთიანებაში. ამას გარდა, ეკუმენიზმის მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს თვითშენახვის ინსტიქტი - კომერციული დაწესებულებების მსგავსად, რელიგიურ ორგანიზაციებსაც გაერთიანების შემთხვევაში გადარჩენის მეტი შანსი ეძლევათ. ბოლოს, ეკუმენისტურ მოძრაობაზე გავლენა აქვს კლასობრივ განსხვავებასა და პოლიტიკურ შეხედულებებს. ლიბერალური ხასიათი დენომინაციები ჩვეულებრივ ავლენენ მიდრეკილებას გაერთიანებისაკენ, ასევე კონსერვატორებთანაც. ლიბერალი პრესვიტერიანელი, ალბათ, უფრო გრძნობს თავის კავშირს ანგლიკანური ეკლესიის ლიბერალურად განწყობილ წარმომადგენლებთან, ვიდრე სხვა პრესვიტერიანელთან, რომელიც კონსერვატიზმისაკენ იხრება.

კიდევ ერთხელ ეკლესიისა და სახელმწიფოს შესახებ.

ჩვენ უკვე ავღნიშნეთ, რომ ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფა აშშ-სათვის რელიგიურ პლურალიზმთან და პოტენციურ რელიგიურ კონფლიქტებთან დაკავშირებული პრობლემის გადაჭრის ხერხია. ამ პრინციპში იგულისხმება რელიგიური ორგანიზაციების თავისუფალი კონკურენცია, მაგრამ არც-ერთი ეკლესია და დენომინაცია არ უნდა იყოს პრივილეგირებული სახელმწიფოს მხრიდან. ამ პრინციპმა მრავალი პრობლემა აარიდა აშშ, როგორც აწუხებს იმ სახელმწიფოებს სადაც არსებობს გაბატონებული ეკლესია.

რელიგიური უმცირესობები არ განიცდიდნენ დევნას მთავრობის მხრიდან, თუმცა რელიგიური კულტების თავისუფლების გარანტიის საკითხებზე ადგილი ქონდა აზრთა სხვადასხვაობას.

თუ შევიხედავთ სხვა ქვეყნებში აღმოვაჩინთ პოლიტიკურ და სოციალურ ვითარებაზე რელიგიური ორგანიზაციების ზემოქმედების დრამატულ მაგალითებს. პოლონეთის კრიზისის პერიოდში, როდესაც „სოლიდარობის“ მცდელობა შეექმნა თავისუფალი პროფკავშირები და პოლიტიკური დემოკრატია, დაამხო სამხედრო დიქტატურამ, რომის კათოლიკურმა ეკლესიამ მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ეროვნული ერთიანობის აღდგენისა და სისხლისღვრისაგან დაცვის საქმეში. ისრაელში ორთოდოქსალური იუდაიზმის წარმომადგენელთა მცირე ჯგუფი დიდ გავლენას ახდენს სახელმწიფოებრივ პოლიტიკაზე. ებრაულ სახელმწიფოში შაბათობით არ მუშაობს ტრანსპორტი, ყველა საქორწინო ცერემონიებს რავინი ხელმძღვანელობს. რელიგიის პოლიტიკაზე გავლენის გამოგნებელი მაგალითია ირანის მოვლენები, სადაც რელიგიურმა ძალებმა გადატრიალება მოახდინეს, ჩამოაგდეს შაჰი და ქვეყნის ხელმძღვანელობა იკისრა მუსულმანურმა თეოკრატამ. ერთი და იგივე გახდა მთავრობის პოლიტიკა და რელიგიური კანონი. ბევრი სოციალური რეფორმები, რომელთაც შაჰი ანხორციელებდა, მაგალითად, ქალების განთავისუფლება ჩადრების ტარების აუცილებლობისაგან, აკრძალა აიათოლა ჰომეინიმ; რელიგიური ლიდერის სტატუსით ის გახდა სახელმწიფოს ლიდერი. რელიგიური და პოლიტიკური ცხოვრების ურთიერთგადახლართვის მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება თანამედროვე საზოგადოების ცხოვრებიდან. შეცდომაა იმის გაფიქრებაც, რომ როდისმე ეკლესია სრულად გამოეყოფა სახელმწიფოს.

ახალი რელიგიური ცნობიერება.

ამ თავის დასაწყისში ჩვენ გავეცანით ჰარი კრიშნას მოძრაობას. ის არის ერთ-ერთი იმ მრავალი რელიგიური მოძრაობებიდან, რომლებიც გაჩნდნენ 60-70 იან წლებში. რელიგიური აზრის აყვავება, რომელიც ამ პერიოდში შეიმჩნეოდა ცნობილია ახალი რელიგიური ცნობიერების სახელით, რომელიც თითქმის პროტესტად უნდა ჩაითვალოს ორგანიზებული რელიგიის ბიუროკრატიული არსის წინააღმდეგ. ახალ მოძღვრებებში აქცენტი კეთდება პიროვნულ, სუბიექტურ გამოცდილებაზე და საბოლოო მიზნის

განხორციელებისადმი, ადამიანისა და ღვთიური სულის შერწყმისადმი, მისტიკურ მიდგომაზე. „მთავარი მნიშვნელობა, - წერს დონალდ სტოუნი,- ენიჭება პიროვნულ გამოცდილებასა და რწმენას და არა დოქტრინასა და მრწამსს”.

ზოგიერთი ახალი ღვთისმეტყველება ჩამოყალიბდა აღმოსავლური რელიგიების გავლენით, რომლებიც თითქმის არ არიან ან ოდნავ თუ არიან დაკავშირებული დასავლურ ქრისტიანობასთან. მათ შორისაა ძენ-ბუდიზმი, ტრანსცენდენტალური მედიტაცია, „კრიშნას ცნობიერება”. სხვა მოძღვრებებია - „ესტ” (ეს არის რჰარდ შემინარ თრანინგ - ჯგუფური ფსიქოთერაპიის სისტემა), „ქრისტიანული მეცნიერება”, „გონის მართვა”. ყველა მათგანი ეფუძნება იდეას, რომლის თანახმად ძირითადი მნიშვნელობა ენიჭება „ადამიანის პოტენციური შესაძლებლობების განვითარებას”. სიცოცხლის მთავარ საზრისს ისინი ხედავენ ადამიანის სულიერი მოთხოვნილებების სრულყოფასა და დაკმაყოფილებაში. არსებობენ ასევე რელიგიები, რომლებშიც მკიცდება ფესვადგმული ძირითადი ქრისტიანული ტრადიციები, რაც გამოიხატა ხელახალ სწრაფვაში აღადგინონ პიროვნებისა და ღმერთის უშუალო კავშირი. ამ მოძღვრების მიმდევართა ჯგუფს ხშირად ეძახიან „ხარიზმატიკულს” ან „ნეოქრისტიანულს”. მათ ეკუთვნით „ერთობის ეკლესია”, „ებრაელების ქრისტეს მიმდევრები” და ქრისტიანთა განთავისუფლების მსოფლიო ფრონტი.

მიუხედავად იმისა რომ ამ რელიგიათა მიმდევრები ძალზე ცოტანი არიან, საერთოდ მოსახლეობის რაოდენობასთან მიმართებაში, მათ დიდი გავლენა აქვთ საზოგადოებაზე. გამოკვლევამ, რომელიც ჩატარდა 1973 წელს სან-ფრანცისკოდან ოკლენდამდე ტერიტორიაზე, აჩვენა, რომ რესპოდენტთა 79% გაუგონია 13-დან ერთ-ერთი ასეთი ჯგუფის არსებობის შესახებ. 52% მიიზიდა ერთ-ერთმა ასეთი ტიპის რწმენამ, ხოლო გამოკითხულთა 21% მონაწილეობა მიუღია ერთ-ერთი მათგანის საქმიანობაში.

ამ გამოკვლევის შედეგები ბევრად რთულია, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს. ხელმძღვანელი, რობერტ ბუნტოუ აღნიშნავს მონაცემთა ინტერპრეტაციის გარკვეულ სიმწიფეებს. მაგალითად, რელიგიურ მოძრაობაში „მონაწილეობა” შეიძლება ნიშნავდეს რასაც გინდა - შეიძლება მხოლოდ ერთხელ მიხვიდე კრებაზე ან გახდე აქტიური წევრი. გარდა ამისა, არსებობს სტატისტიკური მონაცემების ინტერპრეტაციის რამდენიმე ხერხი: ერთმა მკვლევარმა შეიძლება განაცხადოს, რომ „ესტ” მიმართულების არსებობა იცის გამოკითხულთა 6%-მა, მეორემ განაცხადოს, რომ ადამიანთა ნახევარმა იცის ამის შესახებ და იჩენს მის მიმართ ინტერესს. სხვა სიტყვებით, მიღებული მონაცემების ინტერპრეტაციაზეა დამოკიდებული ღრმად თუ ზედაპირული ამ მიმდინარეობით გატაცება.

მიუხედავად ამ პრობლემებისა კვლევამ გამოავლინა ზოგიერთი მნიშვნელოვანი ფაქტები. ადამიანები, რომელთაც იზიდავს ახალი რელიგია (აღმოსავლურ რელიგიათა გავლენით აღმოცენებული, მოძრაობა ადამიანების პოტენციური შესაძლებლობების განვითარებასთვის ან ხარიზმატიკული მოძღვრებები) ჩვეულებრივ საკმაოდ განათლებული და ახალგაზრდები არიან და მათი მიზნები და ცხოვრებისეული პოზიციები საბოლოოდ ჯერ არ არიან ჩამოყალიბებული. მას გარკვეული გავლენა აქვს

საზოგადოებაზე. თუმცა ახალი რელიგიის მომხრენი ასაკთან ერთად გადადიან გაბატონებული ეკლესიის პოზიციებზე, მაგრამ ამ შუალედურ პერიოდში ისინი ახალ რელიგიას მისდევენ. რადგან აქვთ განათლების საკმაოდ მაღალი დონე, მათ მეტი გავლენა აქვთ საზოგადოებაზე, ვიდრე ადამიანთა უმრავლესობას. რაც შეეხება ახალი ტიპის რწმენებს, აღმოსავლეთიდან აღებულს თუ პიროვნების სრულყოფის პროტენზიის მქონეს (სადაც აქცენტი კეთდება ცხოვრების არატრადიციულ წესსა და ღირებულებებზე), როგორც ჩანს ნაკლებად ზემოქმედებს ამერიკულ საზოგადოებაზე, ვიდრე ტრადიციული ხარიზმატიკული ჯგუფები.

რატომ აღმოცენდა ახალი რელიგიური ცნობიერება? ამ კითხვაზე ბევრია პასუხები, რადგან ბევრია ახალი რელიგიები. ერთი მხრივ, ამ ჯგუფების გაჩენამ გაამართლა დურკემის პროგნოზი იმის შესახებ, რომ საზოგადოების გართულებასთან, სპეციალიზაციასთან და მრავალგვარობის ტენდენციის პარალელურად იგივე მოხდება რელიგიურ შეხედულებებში. მეორე მხრივ, ახალი რელიგიური ცნობიერება შეიძლება ჩავთვალოთ პროტესტად თანამედროვე ცხოვრების პირობების წინააღმდეგ. ბელაჰი ვარაუდობდა, რომ ამერიკის რელიგიური ცხოვრების ამასწინანდელი ცვლილებები გაპირობებულია სოციალური ინსტიტუტების რღვევით: განქორწინებების რაოდენობის ზრდა, უპირველეს ყოვლისა, ნიშნავს ნუკლეარული ოჯახების რღვევას; ვიეტნამის ომისა და უოტერგეიტის გამო ბევრი ადამიანი კარგავს პატრიოტიზმის გრძნობას და ნდობას მთავრობისადმი. 60-იან წლებსა და 70-იანის დასაწყისში ახალგაზრდა თაობამ ხმა აღიმალა საზოგადოების ცხოვრებაში მატერიალური ღირებულებების წინააღმდეგ. ტიმოთი ლისტი, სულიერი მოძღვარი და მკურნალი, კოლეჯების სტუდენტებს მოუწოდებდა „დამშვიდებულიყვნენ, ჩართულიყვნენ სულიერ ცხოვრებაში და უარი ეთქვათ ყოველდღიურ ფორიაქზე.“ ამ დროისათვის გრძელდებოდა სექსუალური რევოლუცია და მოდაში შემოვიდა „თავისუფალი სიყვარული“. ტრადიციული წესების, ნორმებისა და ღირებულებების რღვევამ გამოიწვია რელიგიური კრიზისი, რამაც დიდი გავლენა იქონია სოციალურ ცხოვრებაზე. საინტერესოა, რომ სვამა პრავკუპადამაც აღნიშნა, რომ თანამედროვე ამერიკელი ახალგაზრდობისათვის დამახასიათებელია განსხვავება შრომისა და მატერიალური ღირებულებებისაგან. ეს იყო ერთ-ერთი მთავარი მიზეზი მისი მცდელობებისა ახალი რელიგიის საშუალებით გადაერჩინა ახალგაზრდობის სული.

კოლინ კემპბელი (1978) სხვაგვარ ახსნას აძლევს ტრადიციული რელიგიური ცნობიერებიდან ახალზე გადასვლას. ის ვარაუდობს, რომ ახალი მოძღვრებები გამოირჩევა შემწყნარებლობით მეცნიერების, ღირებულებათა სიმრავლის მიმართ, პიროვნების რწმენისადმი პატივისცემით, სწრაფვით უშუალო რელიგიურ გამოცდილებებისაკენ, არ ავლენენ პროტესტს თანამედროვე საზოგადოების წინააღმდეგ, თავისუფლად ეეგუებიან მას. ისინი ეხმარებიან ადამიანებს მოუწესრიგებელ გარემოში ორიენტირებასა და თავიანთი ადგილის მოძიებაში.

დასკვნა.

ამ თავში ჩვენ გავიგეთ თუ როგორ ზემოქმედებენ ერთმანეთზე საზოგადოება და რელიგია. ჩვენ ვიცით, რომ თანამედროვე ცხოვრებაში რელიგია კარგავს თავის როლს და ძლიერდება სეკულარიზაციის ტენდენცია. ადამიანები სულ უფრო გულგრილნი ხდებიან რელიგიის მიმართ და აშშ მხოლოდ 40% დადის ეკლესიაში. ამავე დროს იზრდება რელიგიის სწრაფვა მეტი როლი შეასრულონ პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებაში. იზრდება რელიგიური ცხოვრების ფორმების გამრავლების ტენდენცია - ეს აისახა ახალ რელიგიურ ცნობიერებაში. ბოლოს, რელიგიური ცხოვრების მრავალგვარობის ზრდის მიუხედავად იზრდება მორწმუნეთა, დენომინაციების რიცხვი, რომლებიც ავლენენ სწრაფვას ეკუმენიზაციისაკენ.

შეიძლება კი ამ ტენდენციებს ერთდროულად ქონდეთ ადგილი? ამ კითხვაზე პასუხი დადებითია. რამდენადაც ჩვენი საზოგადოება იზრდება და რთულდება, ის ხდება უფრო მრავალგვაროვანი. შედეგად, ადამიანები მიისწრაფიან ახალი ღირებულებებისაკენ, ეძებენ ახალ საზრისს თვით რელიგიაშიც. ასეთი მრავალგვარობა ორგვარად ზემოქმედებს საზოგადოებაზე. ის ხელს უწყობს ღირებულებებისა და იდეების უფრო ფართო და ღრმა სისტემის შექმნას, მაგრამ ამავედროულად მიმდინარეობა მათი რღვევაც, რაც ზრდის კონფლიქტის ალბათობას და შემწყნარებლობის აუცილებლობას. დროთა განმავლობაში ჩვენ გავიგებთ როგორ იმოქმედებს ეს საზოგადოებაზე - ნეგატიურად თუ პოზიტიურად. მაგრამ უეჭველია, რომ დინამიზმი და უწყვეტი ცვლილებები მუდმივად ექნება ამერიკულ რელიგიურ ცხოვრებას.

მოკლე შინაარსი.

1. რელიგია შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც „რწმენისა და რიტუალების სისტემა, რომლის საფუძველზე ადამიანთა ჯგუფები ხსნიან იმას, რასაც ზებუნებრივსა და წმინდად თვლიან“. შეიძლება გამოვყოთ რელიგიის შემდეგი ძირითადი ელემენტები: მორწმუნეთა ჯგუფი; ინტერესი მოვლენებისადმი, რომლებიც ზებუნებრივად და წმინდად ითვლებიან; რწმენა და რწმენის სპეციფიკური სისტემა; რიტუალები, ანუ ზებუნებრივ და წმინდა მოვლენებთან ურთიერთობაში ქცევის ნიმუშები; შეხედულებები ცხოვრების „პატიოსან“ წესებზე.

2. არსებობს რელიგიების კლასიფიკაციის რამდენიმე ხერხი. პირველს სისტემაში მოყავს რელიგია იმ სახელების მიხედვით, რასაც მათ აძლევენ მისი მიმდევრები (პროტესტანტები, კათოლიკეები და ა.შ.). მეორე ხერხი (ეწოდება ბელაჰის სისტემა) აქცენტს აკეთებს რელიგიის ტიპის პრიმიტიულ ან რთულ ხასიათზე. ბელაჰმა გამოყო რელიგიის შემდეგი ძირითადი კატეგორიები: პრიმიტიული, არქაული, ისტორიული, ადრემოდერნისტული და მოდერნისტული. მესამე სისტემა მ.ვებერს ეკუთვნის და

აქცენტს აკეთებს რწმენის შეხედულებაზე სულის ხსნასთან დაკავშირებით - სულის ხსნის პასიური (მისტიციზმი) და აქტიური (ასკეტიზმი) წესი ამ ან იმ ქვეყნად.

3. რელიგიურ ორგანიზაციებს მიეკუთვნება ეკლესია, სექტა, დენომინაცია და კულტი. ეკლესია მჭიდროდაა დაკავშირებული საზოგადოებასთან და მოქმედებს მის შიგნით. სექტა უარყოფა გაბატონებული რელიგიის ღირებულებებს და, როგორც წესი მოითხოვს მორწმუნეთა სწორ გზაზე დადგომას და მათ ერთგულებას გარკვეული რწმენისა და რიტუალებისადმი. დენომინაცია ანუ ღვთისმეტყველება შუალედური რგოლია სექტასა და ეკლესიას შორის. მას ნორმალური ურთიერთობა აქვს საზოგადოებასთან, მაგრამ მრევლის შესავსებად კონკურენციაშია სხვა დენომინაციებთან. ბოლოს, კულტი შეიძლება ჩაითვალოს სექტად, რომელიც ემხრობა რადიკალურ შეხედულებებს და პიროვნებასა და საზოგადოებას მოუწოდებს რადიალური ცვლილებებისაკენ.

4. რელიგია განსხვავდება ჯადოქრობისაგან იმით, რომ თავისთავად წარმოადგენს სიცოცხლის თვითკმარ მიზნობრივ ღირებულებას, ჯადოქრობა კი რაიმე მიზნის მისაღწევი საშუალებაა. ჯადოქრობის ელემენტები ბევრ რელიგიაში შეიმჩნევა.

5. რელიგია ეხმარება ადამიანს დასძლიოს სიკვდილის შიში და გადაიტანოს უსამართლობები, რომელთაც მის სიცოცხლეში ექნება ადგილი.

6. დურკემი ვარაუდობს, რომ რელიგიის სოციალური ფუნქციაა - საზოგადოებრივი კავშირების ასახვა და გამყარება. ეს ფუნქცია განსაკუთრებით ვლინდება რიტუალების შესრულებაში.

7. კონფლიქტოლოგიური თეორიის მიმდევრები ამტკიცებენ, რომ რელიგია მხარს უჭერს საზოგადოების ერთი ჯგუფის მეორეზე ბატონობას. დაბალ კლასებს ბედნიერ ცხოვრებას მიღმა სამყაროში პირდება, რაც აარიდებს მათ მიწიერ პრობლემებს. კონფლიქტის თეორიაში ხაზგასმულია კავშირი რელიგიურ მოძრაობებსა და პოლიტიკურ კონფლიქტებს შორის.

8. რელიგიას შეუძლია ხელი შეუწყოს სოციალურ ცვლილებებს. ვებერის ცნობილ გამოკვლევაში გამოვლენილია კავშირები კალვინისტურ რწმენას, პროტესტანტულ შრომით ეთიკასა და კაპიტალიზმის განვითარებას შორის. უახლესი წარსულის მოვლენები მსოფლიოში ასევე მეტყველებენ რელიგიის საზოგადოებაზე გავლენას უნარზე, მაგალითად ირანის რევოლუცია.

9. აშშ რელიგიურ ცხოვრებას ახასიათებს პლურალიზმი და მაღალი დონის შემწყნარებლობა. განსხვავებულ რელიგიურ ჯგუფებს განსხვავებული სოციალური პოზიციები აქვთ, მაგრამ უკანასკნელ წლებში თავი იჩინა კათოლიკების და პროტესტანტების პოზიციების კონვერგენციის ტენდენციამ. რელიგიურ აქტივობას მეტი გავლენა აქვს სოციალურ ურთიერთქმედებებზე, ვიდრე გარკვეული დენომინაციის ფორმალურ წევრობას.

10. ძნელია რელიგიურობისა და რელიგიური გრძნობების შეფასება. ეკლესიაში სიარული არ შეიძლება ჩაითვალოს რელიგიურობის საიმედო მაჩვენებლად, რადგანაც ბევრი სულ სხვა მიზეზებით დადის. ამავე დროს ისეც ხდება, რომ ბევრი ჭეშმარიტი მორწმუნე სულაც არ დადის ეკლესიაში. მაგრამ თუ პიროვნულ რელიგიურობაზე ვისაუბრებთ მაშინ აშშ რელიგიურობის დონე ძალზე მაღალია.

11. თანამედროვე რელიგიას ახასიათებს სეკულარიზაციის ტენდენცია - რელიგიურ რწმენასა და რიტუალებში შეაქვთ ეჭვი, რელიგია კარგავს თავის სოციალურ გავლენას, როლს. მეცნიერების განვითარება, ეროვნული სახელმწიფოების ჩამოყალიბება, კაპიტალიზმის გავრცელება, ადამიანებსა და ერთობებს შორის კავშირების შესუსტება, ეკლესიასა და სხვა ინსტიტუტებს შორის კონკურენცია ხელს უწყობს სეკულარიზაციას. ამ ტენდენციის საპირისპიროდ ორგანიზებულმა რელიგიამ გამოავლინა სწრაფვა ეკუმენიზმისაკენ - განსხვავებულ კონფესიებსა და მოძღვრებებს შორის თანამშრომლობისა და ურთიერთგაგების გაღრმავება.

12. ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფის პრინციპი აშშ მუდმივ ზეწოლას განიცდის. მემარჯვენე რელიგიური წრეები ცდილობენ სოციალურ კანონმდებლობებში ცვლილებების შეტანას, მაგალითად, აბორტების აკრძალვას; ორგანიზებულ რელიგიას გავლენა აქვს პოლიტიკური საკითხების გადაჭრაში, მაგალითად, ბირთვული შეიარაღების განხორციელება.

13. 60-იან, 70-იან წლებში ახალი რელიგიური აზროვნების პროცესში გაჩნდნენ ახალი რელიგიები. გამოიკვეთა სამი ახალი ღვთისმეტყველება: აღმოსავლური წარმოშობის რელიგიები („კრიშნას ცნობიერება“), მოძღვრებები დაკავშირებული ადამიანის პოტენციური შესაძლებლობების განვითარებასთან (სილვის მოძღვრება „გონების მართვის“ შესახებ) და ხარიზმატიკული რელიგიები (მაგალითად ერთობის ეკლესია). ჩვეულებრივ ეს რელიგიები იზიდავენ ახალგაზრდა განათლებულ ადამიანებს, რომელთა ცხოვრებისეული მიზნები და პოზიციების ჯერ არ არის ჩამოყალიბებული.

ცხრილი 15-1. მსოფლიოს ძირითადი რელიგიების მიმდევართა რაოდენობა

რელიგია	ჩრ. მერიკა(1)	სამ. ამერიკა	ევროპა(2)	აზია(3)	აფრიკა	ოკეანია(4)	მთელი მსოფლიო
ზოგ. ქრისტიანობა	260924600	197642000	334467100	103740700	18781100	1878100	1062955900
რომის კათოლიკური	142433400	186660800	178000400	57300100	57950100	5230600	627575400
აღმ. მართლმადიდებლობა	5650600	351200	4510000	2340000	8800200(5)	390100	62632100
პროტესტანტული(6)	112840600	10630000	111366700	44100600	80650100(7)	13160400	372748400
ეულიზმი	7610700	738600	4110200	4290700	229400	73900	17053500
მუსულმანური(8)	1550900	405100	20200600	378100100	153200400	87000	553594100
ზოროასტრიზმი	2700	2600	14000	228200	1100	1000	249600
სინტოიზმი (9)	45000	-	-	32000000	-	-	32045000
დაოსიზმი	32000	13000	13500	20000000	800	2900	20062200
კონფუციანელობა	99000	58000	440000	157500000	2000	18000	158117000
ბუდიზმი (10)	330000	240000	240000	248770100	15000	237000	249618800
ინდუიზმი (11)	310000	635000	440000	458600000	850000	325000	461160000
საერთო რაოდენობა	270934900	199734300	359925400	1403229800	301719100	19312600	255856100
მოსახლეობის საერთო რაოდენობა	395365000	262963000	766325000	2777385000	536589000	24458000	4763085000

1 ასევე ცენტრალური ამერიკა და ვესტ-ინდოეთის კუნძულები. 2. ასევე სსრკ და სხვა ქვეყნები, სადაც ბატონობს მარქსისტული იდეოლოგია და ძნელია მორწმუნეთა რაოდენობის დადგენა. 3. ასევე ის რაიონები, სადაც ტრადიციულად ადამიანები რამდენიმე ჯგუფს ეკუთვნიათ, და ჩინეთი, სადაც მარქსისტული იდეოლოგიაა. 4. ესაა ავსტრალია და ახალი ზელანდია, ასევე კუნძულები წყნარი ოკეანის სამხრეთით. 5. ასევე ეგვიპტისა და ეთიოპიის ქრისტიანები. 6. პროტესტანტების სესახებ სტატისტიკური მონაცემები ძალზე განსხვავდებიან. 7. იგულისხმება აფრიკის ქრისტიანები, ახალი სექტები, კულტები და ეკლესიები. 8. ისლამს ადრინდებულად აქვს ეთნიკური საფუძველი, თუმცა დღეს მისი მისწერები მოღვაწეობენ ევროპასა და ამერიკაში. ტრადიციული ისლამის ქვეყნებში რელიგიურ უმცირესობები ზეწოლას განიცდიან და ინფორმაცია ძნელადაა მოსაპოვებელი. 9. იაპონური ეთნიკური რელიგიაა, განიცდიც დაცემას. აპონიის გარეთ სინტოიზმი არ არსებობს. 10. ბუდიზმის საფუძველზე ჩამოყალიბდა რამდენიმე ახალი მიმართულება, რომლებიც გავრცელდნენ ევროპასა და ამერიკაში. ამ რელიგიას დევნიდნენ ტიბეტში, მაგრამ სხვაზე უფრო მდგრადი აღმოჩნდა. 11. ინდოეთში ინდუიზმის გავლენა გაიზარდა მას მერე რაც ინდუიზმმა მონაწილეობა მიიღო ეროვნულ მოძრაობაში. ასეთი რამ სეიმჩნევა ისლამის სამყაროშიც. ინდუიზმის საფუძველზე ახალი მიმდინარეობები გაჩნდნენ და გაცდნენ ინდოეთის საზღვრებს. 12. გაერთიანებული ერები, საერთაშორისო ეკონომიკისა და სოციალური პოლიტიკის განყოფილება; მონაცემები მიღებულია 1984 წელს.

ცხრილი 15-2. ბელახის სისტემით რელიგიის ანალიზის სტადიები

კატეგორიები	მაგალითი	სიმბოლოების სისტემა	რელიგიური ქმედებები	რელიგიური ორგანიზაციები	სოციალური მნიშვნელობა
პრიმიტიული	ავსტრალიური	ადამიანებისა და საგნების გვაროვნული, მითოლოგიური გამოსახვა	ილენტოფიკაცია, გვაროვნული გამოსახულებების ისტორიის „კვლავწარმოება“	ეკლესია არ არის; საზოგადოება და რელიგია ერთიანია	ამტკიცებს სოციალურ სოლიდარობას
არქაული	პოლინეზიური და აფრიკანული	ძლიერი მითური არსებები (ღმერთების მსგავსი)	თავიანისცემა და მსხვერპლშეწირვა.	სხვადასხვა კულტები	სოციალური კონფორმის მოზივება
ისტორიული	ძველებრაული	ბუნებრივისა და ზებუნებრივის გაყოფა	კეთილი საქმეებით სულის ხსნა; თავისუფალი ნების კონცეფცია	ეკლესია; რელიგიური ორგანიზაციების გამოყოფა საზოგადოებიდან	დამაბუღლობა რელიგიასა და საზოგადოებას შორის
ადრემოდერნისტული	რეფორმაციის ეპოქის პროტესტანტული რელიგია	უშუალო კავშირი ინდივიდსა და ზებუნებრივ ძალას შორის	შესაბამება მთელ ცხოვრებას; რწმენის კონცეფცია	რელიგიური ერთობის ნებაყოფლობითი წევრობა	მთავარი ცვლილება სოციალურ სისტემაში
მოდერნისტული	თანამედროვე რელიგიები	პიროვნება და მისი მოვალეობა	პიროვნული ეთიკური პრინციპების ძიება	რწმენე სახით ეკლესიის წევრობა. მთავარია პირადი პასუხისმგებლობა	შესაძლებელია საზოგადოებისა და პიროვნების მუდმივი სრულყოფა

	ეს სამყარო	მიღმური სამყარო
მისტიციზმი	კონფუციანელობა	ინდუიზმი
ასკეტიზმი	იუდაიზმი	კათოლიციზმი

ცხრილი 15-3 რელიგიური ორგანიზაციების კლასიფიკაცია

	ცელესია	დენომინაცია	სეტბა	კულტი
მაკალითი	რომაული კათოლიციზმი, ანგლიკანური ცელესია	მთოდინიზმი, კონგრეგაციონალიზმი	იდეოვან მოწმეები: „კრისტიანული მეცნიერება“ (ადრინდელი პერიოდის)	დეთიური მამა, ადამიანთა ტაძარი. ერთობის ცელესია
წვერების წყარო	ცელესიის ერთგულია საზოგადოების ვეგელა წვერი ან უმრავლესობა	მრევლის მეცესება არსებული წვერების შვილებით და ახლების მიღება	ერთგულ მოწმეებთა საამო. გაწვერიაანება რწმენის საფუძველზე	ერთგულ მოწმეებთა საამო. აწვერიაანება ემოციური კრისისის მედეგად.
დამოკიდებულება სახელმწიფოსა და სხვა რელიგიებთან	მწიფო კავშირი სახელმწიფოსა და არარელიგიურ ორგანიზაციებთან	ნორმალური ურთიერთობა სახელმწიფოსთან. შუსტი კავშირი არარელიგიურ ურგანიზაციებთან	გამოდის სხვა რელიგიებისა და სახელმწიფო და სავო ძალაუფლების ორგანიების წინააღმდეგ	უარყოფს სხვა რელიგიებს და ძალაუფლების სხვა ფორმებს
ხელმძღვანელების ტიპი	პროფესიონალი დეთისმსახური, მიული დლე მუნაობს	პროფესიონალი დეთისმსახურები	სუსტი მიმსადების არაპროფესიონალი ლიდერები	კარხმანტული ლიდერი
დეთისმეტყველების ტიპი	ფორმალური თეოლოგია	მეწმენარებლობა თვალსარისებსა და კამათთან	ტეტნტი დეთისმეტყველების სიწმიდებზე, და საწყის პრინციპებზე დარუნება	ხალი პრინციპები; სულიერი არისის წვდომა. გაცისკროვნება.
წვერების ჩართვა	დაყვანილია მინიმუმამდე. წვერთა უმრავლესობას სულ არ სტირდება	უმნიშვნელო ჩართვა, მებადართულია სხვა მოვალეობაც	აუცილებელია ერთგულების დრმა რწმენა	აუცილებელია სრული ერთგულება
რელიგიური მუდების ტიპი	რიტუალების არსებობა, ლიტურგია	რიტუალების არსებობა, სუსტი ემოციური გამოხატვა	დრმა ემოციურობა, მიღებულია უნებლიე რელიგიური გამოთქმები	დრმა ემოციურობა